საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეურ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 4 ივლისი. 2019 წ. №133 (8799) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ნუ გეშინია, დედასამშობლო!

დასავლეთმა ახლა უნდა დაინახოს ნატოს წევრი საქართველო...

11

შავ ზღვაში ნატოს ორი სამხედრო ხომალდი შევიდა

შავ ზღვაში ნატოს ორი სამხედრო ხომალდი შევიდა. „ბოსფორუს ობზერვერის“ ინფორმაციით, დარდანელის სრუტე გაიარეს ბრიტანულმა საესკადრო ნაღმოსანმა, „ეიჩ-ემ-ეს დანქანმა“ და კანადურმა ფრეგატმა, „ეიჩ-ემ-სი-ეს ტორონტომ“ და შავი ზღვის აკვატორიაში შევიდნენ.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სამხედრო ხომალდები სამხედრო სწავლება „სი ბრიზ 2019“-ში (Sea Breeze 2019) მონაწილეობის მისაღებად უკრაინისკენ მიემართებიან. უკრაინაში ნატოს წევრებისა და პარტნიორების მონაწილეობით სამხედრო წვრთნები 12 ივლისამდე გაგრძელდება. სამხედრო სწავლებაში მონაწილეობას იღებს 30 ხომალდი, 30 საფრენი აპარატი და საზღვაო ქვეითი დანაყოფების პირადი შემადგენლობის 900-ზე მეტი ჯარისკაცი.

ევროპიდან ასე ვჩანვართ!..

კობახიძის სკამის „დაპყრობის“ ამბავი და არეული ივერია

3

ქამი საყოველთაო ლუსტრაციისა:

მითხარი, ვინ გიჭერს მხარს – და გეტყვი, ვინ ხარ შენ!..

5

მიხეილ ყაველაშვილი:

2

მე თვითონ ვუყურებდი, როგორ აპირებდნენ პარლამენტში შეჭრას!



ნუგზარ ფოფხაძე

2

მუზა ვარ, მუზა!!!

ეს ვიდეობით, დაჯერდავ!

დარეჯან ლიპარტელიანი:

ამისთვის არიან ქვეყანა? სულ ეს ხართ „ნაცები“ და მეტი არაფერი?

5

ოკუპირებულ აფხაზეთში არც ერთი ახალგაზრდა უმაღლესი განათლების გარეშე არ დარჩება!

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით, საოკუპაციო რეჟიმის მიერ მდინარე ენგურზე ე.წ. გადასასვლელის დაკეტვის მომენტიდან ამ დრომდე, 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცეს.

„სხვადასხვა არხების, მათ შორის პირდაპირი კავშირებით მუშაობის შედეგად სრული იზოლაციის პირობებში მოხერხდა ის, რომ ყველა პირი, რომელსაც სჭირდებოდა სამედიცინო დახმარება, არიან პენსიონერები, ასევე აბიტურიენტების უმრავლესობა გადმოსულია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ახალგაზრდების ნაწილმა უმძიმესი გზა გაიარა, რომ რუსული ბარიერები დაეძლია.

ყველა მათგანთან, მათ შორის დაშავებულ ახალგაზრდასთან, როგორც სახელმწიფო მინისტრის აპარატს, ასევე ჯანდაცვის უწყებასა და განათლების სამინისტროს გვაქვს პირდაპირი კომუნიკაცია და საჭიროების შემთხვევაში, მას სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირი დახმარება გაეწევა. ასევე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად, აბიტურიენტებს ოკუპირებული აფხაზეთიდან საგამოცდო პროცესში ჩართვის საშუალება მიეცათ. ამ დროისთვის, ოკუპირებული აფხაზეთიდან რეგისტრირებული 185 აბიტურიენტიდან 172 იმყოფება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე და მონაწილეობს საგამოცდო პროცესში“, — აცხადებენ სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

მათივე ცნობით, მთავრობის სამშვიდობო ინიციატივის — „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში არც ერთი ახალგაზრდა ოკუპირებული რეგიონებიდან არ დარჩება უმაღლესი განათლების გარეშე.

ᲛᲣᲖᲐ ᲕᲐᲠ, ᲛᲣᲖᲐ!!!

„ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲗ ᲨᲔᲜᲘᲚᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ — ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ! ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ!“ — ᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲛᲐ �კᲝᲙᲐ ᲧᲐᲜᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ...

ამას უმალ მოჰყვა მოკლე, „მრავლისმეტყველი“ გამოხმაურება, რომლის ავტორი გახლავთ უკვე ნამეტნავად პოპულარული პოლიტიკური „მოღვაწე“ და უსაზღვროდ სახელგანსმენილი „პუბლიცისტკა“, ცნობილი საბჭოთა პოეტის ასული TAKO.

შესაძლოა, იკითხოთ: რომელი TAKO?

მეც ვიკითხე, მას შემდეგ, რაც პირად ფოსტაში გზავნილით მაცნობეს, ყანდიაშვილს კი ეცა ტრადიციულად, მაგრამ შენ ხურდაში მოგაყოლაო და კიდევ ერთხელ შემახსენეს, რომ...

მუზა ვარ, მუზა, ამ და მსგავსი სულით მახინჯი „ანგელოზებისთვის“:

...„საქართველოს მოუცილებელი „პოლიტიკური ჭირი ფოფხაძე- ყანდიაშვილის „ქარხანა“!

გეყურებათ, „ქარხანაო“!!! ეტყობა, ე.წ. „ტროლების“ თემა უნდა გააცოცხლოს და ზედ მიმაბას ამ ბრიყვმა. ანუ, იმას მაბრალებს, რასაც მისი ამქარი მთელი ცხოვრება აკეთებს.

რაში მჭირდება „ტროლი“, მისი „ახლობლების“ მუქარის მეშინია, წერა მიჭირს თუ გამოქვეყნება?

„ტროლი“ და „ანონიმკები“ თავის საახლობლო — სანათესაოში მოიკითხოს ამ ტიპაჟმა, რამეთუ ბევრისთვის ცნობილია, ვინ უკვეთავდა და აბეჭდინებდა საზიზღრობებს (რუსულ(!) პრესაშიც და რუს(!) ჟურნალისტებს), ლაზღანდარობით ვინ ენატანიობდა და „ უშვებდა“ კაგე-ბე-სუკ-ში კოლეგებს და თან „ღადაობდა“: ჩვენშიო ზოგი „შინაურია“ და ზოგიც... „ინაურიო“ (კაგებეს მრავალწლიანი შეფი ყავდა მხედველობაში...)

„ქარხანაო!“, წერს... კიდევ კარგი, სავაჭრო ცენტრი არ ახსენა „მორკინალის დედოფალმა“, თორემ წადი და უმტკიცე მთელ დუნიას მერე, რომ მისი ოჯახური ბიზნესის მსგავსად, კრიმინალურად არ ჩაგიგდია ხელში არც ბაზრობა, არც საავადმყოფო, არც სასტუმრო, არც კაფე და ა.შ და ა.შ.

„შარვლიანი“ და ასაკით ჩემსავით 77-ს გადაცილებული

რომ იყოს ეს თურმე წარსულში ცნობილი „დისიდენტის“ ნაშიერი, უზრდელი დედაკაცი, პირადში მივწერდი:

„მაშ მტყუნის!..“ და დავაყოლებდი მრავალსართულიან გინებას, ისეთს, მამამისს რომ უყვარდა გაგზავნა მისივე მტრების მისამართით.

ჩემგან კი დავამატებდი: „ყველას აუხდეს ფუნაგორიებში გამოთქმული ის „კეთილი“ და ძარღვიანი „სურვილები“, ჯანსაღ ჩარკვიანს რომ ეხერხებოდა და ემეტებოდა... იმ ცილისმწამებლებისთვის, რომლებსაც ახლა უკვე „გადაუჯოკრა„ მისმა ყიამყრალმა ქალიშვილმა...

„ეტო რაზ!..“

(ეს თუ ვერ გაიგო, „რუსულმანმა ინტელექტუალკამ“ ექსპრეზიდენტს კითხოს და უთარგმნის).

ახლა, „ვო ვტორიხ“:

კოკა ყანდიაშვილმა, როგორც შედარებით ახალი თაობის პროფესიონალმა და ნიჭიერმა ორგანიზატორმა, არაერთგზის დაადასტურა, რომ საკუთარი საქმე თავადვე და უკეთ იცის! აქამდეც არასოდეს დაჭირვებია ვინმეს (მათ შორის ჩემნაირი „მოხუცის“) მხრიდან ხელის შეშველება, ანუ, ვიმეორებ გონებაშეზღუდულთათვის: აბსოლუტურად(!!!) უჩემოდ(!!!) ართმევდა თავს ბევრ, მათ შორის, უნიკალურ სასიკეთო წამოწყებას და, ალბათ, TAKO-ს და სხვა ბოროტი ტიპების ჯინაზე და „გულის გასახეთქად“ ასევე გააგრძელებს!

„ი ვ ტრეტიხ“:

გიორგი გახარიაც როგორმე „მოახერხებს“ არა მარტო გადადგომა-არგადადგომის გადაწყვეტას, არამედ, საერთოდ, უჩემოდ(!!!) არსებობას მომავალში, ისევე, როგორც აქამდეც „ახერხებდა“ ცხოვრებას, მოსულელო TAKO-ების „ბრძნული“ რჩევების გარეშე.

აი, ამ უტიფარ და, მგონი, უკვე გვარიანად დაავადებულ „ისტერიჩკა“ მდედრებს რა ეშველებათ, ეს კი ნამდვილად არ ვიცი.

არც იმათი მესმის, ვინც მემეგობრება და მოსულელ-მოკრეტინო ყბედების ბოდვებს იწონებს („ალაიქებს“)?

ასეთ „ფბ-მეგობრებს“ დასკვნის სახით ჩავუღიღინებ ცნობილი მელოდიის ფონზე:



მშვიდობით, ტურფავ!

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲤᲝᲤᲮᲐᲫᲔ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲧᲐᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲛᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲕᲣᲧᲣᲠᲔᲑᲓᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲨᲔᲭᲠᲐᲡ!

„ᲛᲔ ეს ყველაფერი ნანახი მაქვს. ზუსტად ასეთმა მცდელობებმა შემდეგ გამოიწვია სამოქალაქო ომი და ჩემი თაობის წარმომადგენლები, საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიღუპა ასეთ სამოქალაქო ომში, ურთიერთ შეხლა-შემოხლაში, ზუსტად ასე იწყებოდა ყოველთვის ეს ყველაფერი და უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არის ყველაზე სახიფათო, როდესაც ასეთი დაპირისპირებისკენ მოუწოდებს რომელიმე პოლიტიკური ძალა და ამიტომაც ვარ მე ასეთი ემოციური“, — ეს განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა მიხეილ ყაველაშვილმა 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გააკეთა.

„მინდა, საზოგადოებას განვუცხადო რომ დღემდე არც ერთი მათგანი, არც „ევრონაცებიდან“, არც „ნაციონალური მოძრაობიდან“ არ აღიარებს, რომ მათი მხრიდან იყო მოწოდება — პარლამენტის შენობაში შეჭრისაკენ. არსებობს კადრები. „ევროპული საქართველო“ თითქოს ემიჯნება ამ ფაქტს, თუმცა პირდაპირ უნდა ვთქვათ: როდესაც შენს გვერდით იგეგმება ეს ყველაფერი და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი ნიკანორ მელია მოუწოდებს საზოგადოებას, რომ ჩვენ აქ კი არ უნდა ვიდგეთ, უნდა შევიდეთ და დავდგეთ პარლამენტში; და როცა პოლიცია არის განლაგებული შესასვლელთან, რა თქმა უნდა, მცდელობა იქნებოდა შეჭრის. არც ერთი მათგანი არ შეეწინააღმდეგა და ისინი ელოდებოდნენ, როგორ განვითარდებოდა პროცესები. დღემდეც კი არც ერთ მათგანს არ განუცხადებია ხმამაღლა, არ გაემიჯნა ამ ძალადობრივ პროცესს და თუ დააკვირდებით მათ ინტერვიუებს, გამოსვლებს აქციაზე — იმ გულწრფელ ახალგაზრდებთანაც როგორ მოიხსენიებენ რომ ეს იყო რაღაც შეხლა-შემოხლა“, — განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

იგი ახალგაზრდებს მიმართავს, რომ არ შეიძლება არ გავემიჯნოთ იმ ძალას, რომელიც ასეთ მოწოდებებს, ძალადობრივ მოწოდებებს აკეთებს.

„ახალგაზრდებს მინდა, მივმართო. ასევე საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც მხოლოდ გადაცდომის ფაქტს აღიარებენ და რა თქმა უნდა, ამაში ყველა ერთად ვთანხმდებით, რომ ყველა დასჯილი იქნება ვინც კი გადასცდა თავის უფლებამოსილებას და ასეთი მტკივნეული დასახიჩრებები მიაყენა ჩვენი საზოგადოების წევრებს. ეს აუცილებლად გამოძიების საგანია და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ყველა ერთსულოვანი ვართ ამასთან დაკავშირებით.

მისი თქმით დესტრუქციულ ძალასთან კონსტრუქციული საუბარი შეუძლებელია.

„საზოგადოება უფრო ბევრი ვართ და შეუძლებელია, რომ მათი დღის წესრიგით ვიცხოვროთ. დაწყებულია ეს პროცესი და აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე, მაგრამ ეს არის სამართლიანი პროცესი. ჩვენ ძალადობისკენ ვერ მოვუწოდებთ ვერავის მიმართ, მაგრამ აუცილებლად დავამყარებთ სამართლიან გარემოს, სადაც ყველას შეეძლება თავისი ნიჭით, თავისი შესაძლებლობებით ქვეყნის განვითარებაში მონაწილეობა“, — აღნიშნავს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი

FOR.GE

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

„ᲐᲛᲐ ᲬᲚᲘᲡ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲘᲛᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ.

აღნიშნულ შეხვედრაზე ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ სამუშაო ჯგუფის პარტიული მონაწილეები განისაზღვრა მმართველი გუნდის მიერ იმ გათვლით, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში მხოლოდ მოწვეულ პარტიებს გააჩნდათ „ბარიერის გადალახვის თეორიული შანსიც კი“. აღნიშნული პარტიები, როგორც თქვენთვის ცნობილია, მოიცავს საპარლამენტო (ევროპული საქართველო — მოძრაობა თავისუფლებისთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პატრიოტთა ალიანსი), ისევე როგორც არასაპარლამენტო პარტიებს (ლეიბორისტული პარტია, დემოკრატიული მოძრაობა — გაერთიანებული საქართველო, თავისუფალი საქართველო, ლეიბორისტული პარტია).

მივიჩნევთ, რომ ხელისუფლების მიერ პროპორციული საპარლამენტო არჩევნების 2020 წელს დაანონსება უბარიერო/ბუნებრივი ბარიერის პირობებში აუცილებელს ხდის მონაწილე პარტიათა ჩამონათვალის გადახედვას, სწორედ იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რისი არტიკულაციაც მოახდინა ზემოხსენებულ შეხვედრაზე ირაკლი კობახიძემ. იმის გათვალისწინებით, რომ მმართველმა პარტიამ პარლამენტში უკვე დაარეგისტრირა და ფორმალური პრეზენტაციის სახით წარადგინა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მოიცავს ბუნებრივ ბარიერს და ამით დააფიქსირა საკუთარი მოლოდინი, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება პროპორციული წესით ბუნებრივი ბარიერის პირობებში, არსებითად იზრდება იმ პარტიათა ჩამონათვალი, რომლებიც უნდა შევიდეს საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმირების საკითხზე შექმნილ სამუშაო ჯგუფში. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ, აუცილებელია, მოხდეს აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მონაწილეთა გაფართოება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ჯგუფის ინკლუზიურობა მომდევნო შეხვედრამდე (8-10 ივლისი).

ველით თქვენს გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით უმოკლეს ვადაში“...

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲔᲜ: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲔᲑᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲔᲕᲠᲝ�პᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ, ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ, ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲓᲐᲕᲘᲗᲒᲐᲠᲔᲯᲗᲐᲜ **დაკავშირებით აზერბაიჯანულ მხარესთან ინტენსიური კომუნიკაცია მიმდინარეობს, იგეგმება ადგილზე ექსპერტების გასვლა,** — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ვლადიმერ კონსტანტინიდმა განაცხადა.

მისივე თქმით, საჭირო იქნება ბევრი შეხვედრის გამართვა, რათა კონკრეტულ შედეგებზე შეთანხმდნენ.

„გარკვეული პაუზის შემდეგ ერთობლივი კომისიის მუშაობა განახლდა. პირველი რაუნდი აზერბაიჯანში კონსტრუქციულ ატმოსფეროში გაიმართა. დღეისთვის აზერბაიჯანულ მხარესთან ინტენსიური კომუნიკაცია მიმდინარეობს შემდეგი რაუნდის შესათანხმებლად. იგეგმება ადგილზე ექსპერტების გასვლა და აზომვით-ტექნიკური სამუშაოები. ყველა საკითხი, ტექნიკური იქნება, თუ საორგანიზაციო, ამ ერთობლივი კომისიის მუშაობის ფარგლებში გადაწყდება. ექსპერტების ჩასვლის პირველადი დრო ივნისის ბოლო იყო, მაგრამ დღეს კომუნიკაცია მიმდინარეობს, რომ ორივე მხარე შეთანხმდეს მომდევნო რაუნდის ნაბიჯებსა და თარიღებზე. ერთი შეხვედრა ან კონკრეტული სამუშაოს ერთი რომელიმე ნაწილი არ არის გათვლილი, რომ საბოლოო შედეგები მივიღოთ. ბევრი შეხვედრა იქნება გასამართი, რათა კონკრეტულ შედეგებზე გავიდეთ.

დავითგარეჯში უკვე არსებული ბილიკების სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და სიმართლეს არ შეესაბამება, რომ იქ გზის ან ბილიკების გაყვანა დაიწყეს. დიდი თხოვნა იქნება მედიასთან და სოციალურ ქსელში აქტიურ ჩვენს მოქალაქეებთან, რომ გადაუმოწმებელ და დაუდასტურებელ ინფორმაციას ნუ გაავრცელებენ, რადგან ამან შეიძლება პროცესზე უარყოფითად იმოქმედოს“, — განაცხადა ვლადიმერ კონსტანტინიდმა.

კობახიძის სკამის „დაპყრობის“ ამბავი და არეული ივერია

19 ივნისს საქართველოს პარლამენტში გაიხსნა მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომა. მასში შემავალი 25 ქვეყნის დელეგაციის მიერ ასამბლეის თავმჯდომარედ არჩეული რუსული დელეგაციის წევრი სერგეი გავრილოვი, როგორც წესი, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდა, რაც ჩასაფრებული ნაცების და მათი მხარდამჭერების პარლამენტის წინ თავშეყრისა და გაურკვეველი პროტესტის საბაბი გახდა. ნიკა მელიამ დრო იხელთა და აბსურდული მოთხოვნებით გავეშებულ არსებებს პარლამენტში შეჭრისაკენ მოუწოდა, რასაც პოლიციასთან შეტაკება და ხალხში მდგომი რამდენიმე ახალგაზრდის დასაახიჩრება მოჰყვა.

ხელისუფლება რომ იდეალური არ არის და პროტესტს იმსახურებს, ეს ფაქტია. მაგრამ რა შუაშია მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტის პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომის გამო ასეთი გაგიჟება და პარლამენტში შეჭრის მცდელობა?!

მელიასა და მისი ამფსონებისაგან გასაკვირი არაფერია, მაგრამ გაკვირვებას იწვევს წესიერი ადამიანების მიერ აღნიშნული მოვლენის არასწორი შეფასება.

დედაეკლესიის განცხადების თანახმად, მაგალითად, „ქვეყნის სიყვარულით გულანთებული ათასობით ახალგაზრდა სამშობლოს ღირსების დასაცავად გამოვიდა რუსთაველზე და თავისი სამართლიანი გულისწყრომა გამოხატა პარლამენტის სხდომათა დარბაზში რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს იმ წევრის თავმჯდომარეობის გამო, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს მთლიანობის ხელყოფას“.

პუბლიცისტ გია გაბრიჭიძის თქმით, „ვიღაცის მიერ პარლამენტის თავმჯდომარის სკამის დაკავება პარლამენტარიზმის შეურაცხყოფაა და როგორც პარლამენტარიზმის იდეის, ასევე ხალხის შეურაცხყოფაა ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენლის მიერ სახელმწიფოს მეორე პირის სავარძლის დაკავება. აი, ეს შეურაცხყოფა ვერ აიტანა ხალხის დიდმა ნაწილმა...“

უფრო შორს მიდის ექსპერტ სოსო ცინცაძის ინტერვიუერი მანანა ნოზაძე, რომელიც მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტის (და არა „რუსი დეპუტატის“) პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე დაჯდომას „თბილისის თავზე წითელი დროშის აფრიალებასთან“ და „თბილისში შემოჭრილი ჯალალედინის მიერ გუმბათმორღვეული სიონის თავზე მოკალათებასთან“ აიგივებს!

გუმბათმორღვეული სიონის თავზე ჯალალედინი როგორ მოკალათდებოდა, თავად განსაჯეთ, ეს პათოლოგი დამპყრობელი ხომ შიგ ჩავარდებოდა!

ნეტამც ჩავარდნილიყო და კისერი მოეტეხა! მაგრამ ეს არ არის მთავარი. არც ის, რა უპასუხა ბ-ნმა სოსომ ქ-ნ მანანას. მთავარია, რა უპასუხა ხელისუფლებამ, „სამშობლოს ღირსების დასაცავად“ და „პარლამენტარიზმის იდეის, ასევე ხალხის შეურაცხყოფის“ მოსაწმენდად, რუსთაველზე გამოსულ ნიკა მელიას, რომელმაც, თურმე, „თავისი სამართლიანი გულისწყრომა გამოხატა“ და „ქვეყნის სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდებს“ (ახალგაზრდები მეორე დღეს გამოჩნდნენ, იმ დღეს კი იქ უგულავა, ბოკერია, კანდელაკი, ხოშტარია, სამადაშვილი და სხვა ნაცი მანქურთები ყელყელაობდნენ) პარლამენტში შეჭრისაკენ მოუწოდებდნენ...

სად არის აქ ლოგიკა? თუ მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის პრეზიდენტის (და არა „რუსი დეპუტატის“) პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე დაჯდომა „სამშობლოს ღირსების“ საკითხი და პარლამენტარიზმის იდეისა და ხალხის შეურაცხყოფაა“, მაშინ მელია, რომელიც „სამშობლოს ღირსების დასაცავად“ პარლამენტში შესაჭრელად იქაჩებოდა, ეროვნული გმირი ყოფილა და არა დასაპატიმრებელი! ქაქუცას მეტი კი არაფერი ჩაუდენია: 1924 წლის აჯანყება მოაწყო, „შეფიცულები“ დახვრიტეს (აქ გოგონებს თვალები დათხარეს!), თვითონ საფრანგეთში გაიქცა და დღეს, ქართული ვალუტის ღირსებას — 200-ლარიანს ახატია მისი ყელმოღერებული თავი! მელია რით არ არის ეროვნული გმირი და მთაწმინდაზე დასაკრძალი?!

არ ვიცი, არ ვიცი... ან, მელია და, მასთან ერთად, უგულავა-ბოკერია-კანდელაკ-ხოშტარია-სამადაშვილის შანტრაპაც გმირები არიან; ან, მელიასთან ერთად, შანტრაპაც დასაჭერია. ხოლო თუ დასაჭერია, მაშინ „ქვეყნის სიყვარულით გულანთება“, „სამშობლოს ღირსების დაცვა“ და „პარლამენტარიზმის იდეის, ასევე ხალხის შეურაცხყოფა“ (აღარაფერს ვამბობ „ჯალალედინის მიერ გუმბათმორღვეული სიონის თავზე მოკალათებაზე“), თითიდან გამოწოვილი ტყუილებია! სხვა შეფასება არ არსებობს!

პარლამენტს ხალხი ირჩევს, პარლამენტარიზმის იდეისა და ხალხის შეურაცხყოფა კი ის არის, როდესაც ხალხის მიერ არარჩეული ვიგინდარები ხალხისათვის თავზე დასაჯდომად პარლამენტში იჭრებიან!

რაც შეეხება სერგეი გავრილოვს, იგი მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის თავმჯდომარე იყო და არა რუსი დეპუტატი. რუსი დეპუტატი ის რუსეთის პარლამენტშია, აქ კი ხსენებული ასამბლეის პრეზიდენტი გახლდათ, როგორც ზაქარია ქუცნაშვილი — ასამბლეის ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი და არა ქართული ოცნების დეპუტატი; დიმიტრი ხუნდაძე და ადა მარშანია — ასამბლეის ქართული დელეგაციის წევრები, ენძელა მაჭავარიანი, გედევან ფოფხაძე და ზვიად ძიძიგური — სათადარიგო წევრები და არა პარლამენტის დეპუტატები!

რა უნდა ექნა ასამბლეის ქართული დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნულ ზაქარია ქუცნაშვილს? ნამღვდელარი ბიჩინაშვილისათვის გამოერთვა „ტაბურეტკა“ და ის შეეთავაზებინა გავრილოვისთვის? სერგეი რუსი კაცია, ამბობს, „ტაბურეტკაზეც“ დავჯდებოდიო. მაგრამ ზაქარია თიანელი კაცია და არ აკადრებდა ასამბლეის პრეზიდენტს „ტაბურეტკას“. არ აკადრებდა და პარლამენტარის მანდატის დატოვებინება აკადრეს!

„სახელმწიფოს მეორე პირიც“ ბარტყივით გადაუგდეს „ახალგაზრდებს“, მაგრამ ნურას უკაცრავად, გახარიაც გვინდაო! გახარიას რომ არ დასჯერდებიან, „მარშების“ მიმართულებიდანაც ჩანს. ჰო, მართლა, „მეორე პირი“ ხომ ოფიციალური მივლინებით აზერბაიჯანში იყო, როგორ აუმღვრევდა იქიდან წყალს ვისაც ჯერ არს თბილისში: „შენ ზევითა ხარ, მე ქვევით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო?!“

ყველა-ყველა, მაგრამ ვინ არის ეს „ვინც ჯერ არს“, ქართველ ხალხს მაჯლაჯუნასავით რომ დასწოლია და გასაქანს არ აძლევს, ხელისუფლად ვინ აირჩიოს და ვინ — არა, ვის დაელაპარაკოს და ვის — არა?

პოლიტოლოგიის პროფესორ სოსო ცინცაძის აზრით, თურმე, „გავრილოვს მოსკოვში ყურებს დააგლეჯენ, რადგან თავისი იდიოტური საქციელით კარგად ჩაფიქრებული თამაში გაუფუჭა რუსებს!“

რომელი იდიოტური საქციელით — კობახიძის სკამზე რომ დაჯდა? ან რა თამაშზეა საუბარი — შენს ხელისუფალს „ოკუპანტთან“ დასალაპარაკებლად რომ არ უშვებენ და ის ჩამოდის შენთან, რომ საშუალება მოგეცეს, დაელაპარაკო?!

მაგრამ დავუბრუნდეთ რეალობას.

ამ ამბებამდე, „პირველი პირი“ (ბახტაძე) ამერიკაში იყო და პომპეოს შეხვდა. ჩამოსულს კარპენტერი შინ დახვდა. პომპეომ რა უთხრა, მაგას ხომ არ გვეტყვის, კარპენტერმა კი ღიად დატუქსა მთავრობა: რუსეთს ასე თუ გაუხსენით კარები (ქართული ღვინო-ბორჯომის რუსულ ბაზარზე გაყიდვას, რუსი ტურისტების საქართველოში მომრავლებას, თბილისი-მოსკოვის საჰაერო რეისების გახშირებას და აბაშიძე-კარასინის „წითელი ხაზებით“ შეზღუდულ კონტაქტებს გულისხმობდა), ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციას კი არა, მთელი ტერიტორიის ოკუპაციას მოგიხდენთო! და მოხდა ის, რაც მოხდა და ხდება.

ყველაფერი გასაგებია. სტრატეგიული პარტნიორი მკაცრად, ძალიან მკაცრად განსჯის!

ომარ ხახაშვილი,
ბელგიიდან სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის“

20-21 ივნისის ღონისძიებაში მონაწილე საპოლიციო ძალების შესახებ

შსს განცხადება

„გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ოფიციალური ინფორმაცია, 20-21 ივნისს პარლამენტის შენობასთან ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილე საპოლიციო ძალების შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საპოლიციო ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები.

სხვადასხვა მედიასაშუალებით გავრცელდა დეზინფორმაცია, რომ თითქოს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სამინისტროები ანდა მათი ქვედანაყოფები.

ამის ერთ-ერთი დადასტურებაა გავრცელებული ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოს ღონისძიებაში ჩართული იყო იუსტიციის სამინისტროს ე.წ. სპეცრაზმი. გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სპეციალური დანიშნულების ძალების სამმართველო 2019 წლის 14 თებერვლიდან გაუქმებულია. შესაბამისად, ამ ქვედანაყოფის საპოლიციო ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს“, — აცხადებენ შსს-ში.

ია მეტრეველი: ხელისუფლებას მივმართავ, დაამთავრონ ეს კოჰაბიტაცია!

„ჩვენ მარტო მელიას დასჯას არ ველოდებით, ჩვენ ველოდებით ყველა იმ ლიდერის დასჯას, ვინც კარგად ჩანს კადრებში“, — ეს განცხადება ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მოკლული ბუტა რობაქიძის დედამ ია მეტრეველმა გააკეთა.

„მინდა, ხელისუფლებას ვუთხრა, რომ ჩვეულებრივი ადამიანების, საზოგადოების მოთმინებასაც აქვს უკვე საზღვარი. ვითმენთ უკვე ამ „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ ტერორს, ხან გადატრიალების მცდელობას, ამათ მუდმივ შეურაცხყოფებს, ლანძღვას, ცილისწამებას - თუნდაც, ჩემს თავზე. კატასტროფული ცილისწამებაა გაჩაღებული დღემდე და, რა თქმა უნდა, არ ვაქცევ ამას ყურადღებას და არც ვკითხულობ, მაგრამ მიმდინარეობს საშინელი ცილისწამება. ესეც კი ვერ მოგვარდა, რომ ცილისწამებაზე ან კანონი შეიმუშაონ, რადგან წალეკა საქართველო ცილისწამებამ“, — აღნიშნა ია მეტრეველმა.

მისი თქმით, თუ მიდიხარ რევოლუციაზე იმისთვისაც მზად უნდა იყო, რომ შეიძლება მოკვდე კიდევაც. ეს ბავშვებმაც უნდა იცოდნენ.

„მართლა ტრაგედიაა, რაც მოხდა, მაგრამ, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ რევოლუციისა და გადატრიალების დროს ყოველთვის დაიღვრება სისხლი, ან ვიღაცა მოკვდება, ამ თვალს დაკარგავს — ეს არის რევოლუცია, აჯანყება და შტურმით აღება. ეს ბავშვებმაც უნდა იცოდნენ და ყველამ უნდა იცოდეს, რომ, თუ უკვე ისე გვიან დაიწყო ეს შტურმი და უბედურება, რომ მანამდე ბავშვები იქ აღარ უნდა ყოფილიყვნენ, იმიტომ, რომ უკვე კარგად გასაგები იყო, რასაც მოუწოდებდა „ნაციონალური მოძრაობა“ იმ ახალგაზრდებს“, — განაცხადა ია მეტრეველმა.

ბუტა რობაქიძის დედა ხელისუფლებას მიმართავს და მოითხოვს ყველა იმ ადამიანის დასჯას, ვისაც ქვეყნის გადატრიალება უნდოდა და იმედს გამოთქვამს, რომ გამოძიება ამ ყველაფერს ბოლომდე მიიყვანს.

◎ მუხტი, რომელიც არ ნელდება

საქართველოს დემოკრატია არასრული 30 წლისაა, თუმცა მისი ისტორია ასაკის შეუსაბამოდ მდიდარია როგორც საპროტესტო გამოსვლებით, ასევე პროტესტის გამოხატვის ფორმებით. საყოველთაო გაფიცვა, დემონსტრაცია, შიმშილობა, გზატკეცილების გადაკეტვა, სახელმწიფო უწყებების ბლოკირება, სახელმწიფო უწყებებში შეჭრა და ა.შ. ბოლო დროს არსებითად შეიცვლა პროტესტის ენა და სტრუქტურა. 20 ივნისს დაწყებული საპროტესტო აქციაც თვისებრივად განსხვავდება ყველა წინა აქციისაგან.

პროტესტის ევოლუცია: რა და როგორ მუშაობს?

პროტესტის ფორმები

საპროტესტო მიტინგი (მსვლელობა) — პროტესტის ყველაზე ბუნებრივი და გავრცელებული ფორმაა, რომელსაც აქტიურად მიმართავდნენ ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის საწყის ეტაპზე. ე.წ. არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებსა და საზოგადოების აქტიურ ნაწილს, 1978 წლის 14 აპრილის ცნობილი მოვლენების სახით, უკვე გამოცდილი ჰქონდათ პროტესტის ამ ფორმის ეფექტიანობა.

სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებების ბლოკირება, გაფიცვა, — რამაც ინტენსიური ხასიათი შეიძინა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ: გაფიცვას აცხადებდნენ საწარმოები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სკოლები... 1990 წელს სამტრედიაში გადაკეტეს საკავშირო მნიშვნელობის რკინიგზა. აქციას პარლამენტის დღევანდელი ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური ხელმძღვანელობდა.

შიმშილობა — პროტესტის ნიშნად შიმშილობის გამოცხადების ტრადიციაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან იღებს სათავეს. პროტესტის ამ ფორმას, ცხადია, მიმართავდნენ ქართველი დისიდენტებიც, თუმცა მასობრივად „შიმშილობის დაწყება“ ეროვნული მოძრაობის პირმშოა. სახალხო პარტიის თავმჯდომარე და ეროვნული მოძრაობის ვეტერანი მამუკა გიორგაძე იხსენებს 1988 წლის ნოებრის საპროტესტო შიმშილობას — ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საპროტესტო აქციას, რომელიც, მისი სიტყვებით, კგბ-ს ლეგენდარული შეფის ალექსი ინაურის გადადგომით დასრულდა.

„იძულებული გახდა გადამდგარიყო და პენსიაში გასულიყო“, — ამბობს მამუკა გიორგაძე.

1988 წლის შემდეგ საქართველოში შიმშილობის არაერთი აქცია გაიმართა, მათ შორის ცნობილია „მხედრიონელების“ შიმშილობა ოპერის ბაღში, რომელსაც კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერებმა საპასუხო შიმშილობის აქციით უპასუხეს.

სახელმწიფო დაწესებულებების დაკავება — 2003 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის წინ შეკრებილი საპროტესტო აქციის მონაწილეები შევიდნენ პარლამენტში და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს არ მისცეს ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომის გახსნის საშუალება. საპროტესტო აქციის მონაწილეები ასევე შევიდნენ პრეზიდენტის კანცელარიის შენობაში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ვარაუდობს, რომ 20 ივნისის ღამესაც მოვლენები „ვარდების რევოლუციის“ სცენარით ვითარდებოდა.

ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში თალაკვაძემ თქვა: „დიახ, დაახლოებით ასეთი (ვარდების რევოლუციის) სცენარი ვითარდებოდა და ვფიქრობ, ადეკვატური გამოძიება უნდა მოხდეს, ვინ იდგა ამ ყველაფრის უკან და ვინ იყო ამის ორგანიზებით დაინტერესებული“.

ფსიქოლოგი მარინა ჩიტაშვილი მიიჩნევს, რომ **არამართებულია 2003 წლისა და 2019 წლის მოვლენების ერთმანეთთან შედარება.**

„2003-ში პარლამენტის შენობაში შესვლა იყო ბოლო აკორდი თითქმის ერთთვიანი პროტესტისა. ადამიანები იდგნენ წვიმაში, ქარში და აპროტესტებდნენ არჩევნების გაყალბებას, ითხოვდნენ არჩევნების ხელახლა ჩატარებას. პარლამენტში შესვლა იყო ამ საპროტესტო აქციის ლოგიკური დასასრული განსაკურთებით იმ ფონზე, რომ მათი არც ერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მიუხედავად იმისა, რომ გაყალბების ყველა ფაქტი იქნა წარმოდგენილი. ახლა კი (20 ივნისის საღამოს ვგულისხმობ), რამდენიმე დეპუტატმა ვერ გაითვალისწინა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ელემენტარულ პოლიტიკურ სიბეცეს, რაციონალურად სიტუაციის შეფასების უუნარობას, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა პარლამენტში შესვლას“, — ამბობს მარინა ჩიტაშვილი.

რა განაპირობებს პროტესტის ფორმის პოპულარობას?

ფსიქოლოგი მარინა ჩიტაშვილი ამბობს, რომ არსებით როლს ასრულებს მეხსიერება იმისა, თუ რა სახის პროტესტი იყო წარმატებული.

„საქართველოში ყველაზე ხშირად შედეგი მოაქვს პროტესტის ისეთ ფორმას, როგორიც არის მასობრივი აქციები. რუსთაველის გამზირზე ახლა მიმდინარე საპროტესტო აქციაც ამის დასტურია“, — ამბობს მარინა ჩიტაშვილი.

რაც შეეხება „პროტესტის ყველაზე უკიდურეს ფორმას“ — შიმშილობას, რომელსაც ასევე ხშირად მიმართავენ ხოლმე საქართველოში. მარინა ჩიტაშვილის თქმით, მეხსიერება გვეუბნება, რომ შიმშილობა პროტესტის არაეფექტიანი ფორმაა:

„შიმშილობას ქართული კულტურული მეხსიერება ხვდება ცოტათი სკეპტიკურად, იმიტომ, რომ რეალური შედეგი არ არსებობს. შიმშილობის აქციებს, როგორც წესი, რეალური, ეფექტური შედეგი არ მოჰყოლია. მართალია, უკიდურესი და რადიკალური პროტესტის ფორმაა, თუმცა შიმშილობით გარდაცვლილი პროტესტანტი არ გვყოლია, მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში არაერთი შიმშილობა დასრულებულა ფატალურად და შედეგიც მოჰყოლია შესაბამისად“.

საპროტესტო შიმშილობის ეფექტიანობაში ეჭვი არ ეპარება მამუკა გიორგაძეს, რომლის განმარტებითაც, „შიმშილობა თავგანწირვის ხარჯზე ხელისუფლებასა და საზოგადოებაზე მორალური ზემოქმედების მოხდენის საშუალებაა“.

„აჩვენებ მათ, რომ იმდენად მნიშვნელოვანია შენთვის ეს საქმე, რომ მზად ხარ თავი გაწირო, რომ ეს იდეა შენს სიცოცხლეზე მეტია... ასე გაიმარჯვა მერაბ კოსტავამ, ასე გაიმარჯვა ეროვნულმა მოძრაობამ“, — ამბობს მამუკა გიორგაძე, თუმცა ის ასევე არ უარყოფს იმას, რომ ბოლო დროს შიმშილობის აქციები, როგორც წესი, უშედეგოდ სრულდება.

„ყველამ იცის, მოშივდება და შეჭამენ. ბოლო დროის ყველა შიმშილობა ასე დამთავრდა. თუ გახსოვთ, იყო ასეთი ამბავიც, ელიტარული მოშიმშილეები რომ ცალკე დასხდნენ და ხალხი რომ ცალკე დასხდა. პარლამენტის თავმჯდომარის მისაღებში რომ შიმშილობდნენ და ორ კვირაში დაიწყეს, არიქა, ვიღაც კვდება და პატრიარქმა გვთხოვოს, შევწყვიტოთ შიმშილობაო“, — ამბობს მამუკა გიორგაძე.

ინდივიდების გაერთიანებული პროტესტი

20 ივნისს რუსთაველის გამზირზე დაწყებული საპროტესტო აქცია თვისებრივად განსხვავდება ყველა წინა საპროტესტო გამოსვლისგან, — ასე ფიქრობს ილია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **გიორგი მელაძე,** რომლის თქმითაც, მიმდინარე აქციაში თვალშისაცემად ბევრი ადამიანი მონაწილეობს როგორც აზრის გამოთქმის, ასევე ორგანიზების დონეზე. გარდა ამისა, აქციის ძირითად ბირთვს აქვს მკაფიოდ გამოყოფილი საკუთარი პოზიცია და ადვილი არ არის მათი გადღაბვნა პოლიტიკურ აქტორებში.

გიორგი მელაძე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული 2003 წლის საპროტესტო აქციებში, ამბობს, რომ წინა აქციების დროს პოლიტიკასთან გადაზელვა ძალიან ადვილი იყო: **„ასეთი მკაფიო იდენტობა ჩვენ არ გვქონია. მაშინ ამისთვის არც დრო იყო და არც გამოცდილება. ეს თაობა კი პროტესტს თავისი გამოკვეთილი იდენტობით აკეთებს.**

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამ აქციებს აფინანსებენ ადამიანები საკუთარი ჯიბეებიდან. იწერება სტატუსი, რომ საჭიროა რაღაც თანხა და მას ქვემოთ მოჰყვება ასეულობით ადამიანი, რომელიც 5, 10 და 100 ლარს რიცხავს იმისთვის, რომ ეს პროტესტი შენარჩუნდეს. ეს პროტესტი დგას ჯიბის ფულზე, მრავალი ადამიანის ჯიბის ფულზე. ესეც უპრეცედენტოა და ამის გაჩერებაც შეუძლებელია. ასეთი რამ იყო ბასიანის აქციაზე, რეპერების დაპატიმრების აქციაზე, ნარკოპოლიტიკის თემებზე... მაშინაც ძალიან მოულოდნელი იყო, რომ წამოვიდა ჯიბის ფული და დღეს ეს უკვე მასობრივად ხდება“.

გიორგი მელაძის თქმით, მიმდინარე აქციამ ასევე აჩვენა, რომ ძალიან შესუსტდა ფორმალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციაც და რომ ძირითადი წამყვანი ძალა არის არაფორმალურად, დროებით ორგანიზებული აქტივისტები, რომლებიც ღიად ამბობენ, რომ მათი მიზანია შექმნან პოლიტიკა და დატოვონ პოლიტიკა.

„ეს მიდგომაც ახალია. ვიღაცას შეიძლება არ მოსწონდეს, რომ ფორმალური არასამთავრობოები თავის როლს კარგად ვერ ასრულებენ, მაგრამ მგონია, რომ ჩვენ გადავედით სამოქალაქო საზოგადოების ახალ დონეზე, რომელიც უფრო ფართოა და რომელიც თითქმის ყველა ოჯახს მოიცავს. აშკარაა, რომ ეს პროტესტი მეტად დეცენტრალიზებულია და მეტადაა დაკავშირებული ადამიანებთან. ამ ყველაფერს არ ტვირთავს ბევრი ინსტიტუციური მონაწილე, ეს არის მართლა ინდივიდების გაერთიანებული პროტესტი“, — ამბობს გიორგი მელაძე.

პროტესტის ამგვარი ტრანსფორმაცია მოულოდნელი სიახლეა ხელისუფლებისთვისაც, რომელიც ეფექტიანად ვერაფერს ვერ უპირისპირებს რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ახალგაზრდებს.

„როდესაც საზოგადოება არ არის დემოკრატიული, შეგიძლია, ათასი სისულელე მოიგონო და ათასი კომბინაციით სცადო ადამიანების დეზორიენტაცია, მათი შეცდომაში შეყვანა, დაშლა, დაბნევა და ა.შ. დღეს სახელმწიფოს უპრეცედენტო აქციასთან აქვს საქმე, თითოეული წევრი ამოწმებს ინფორმაციას, თავის ენერგიას და დროს დებს ამ ყველაფერში. რაც უნდა ის ქნას სახელმწიფომ, რუსული „ოხრანკის“ მეთოდები ამ კონკრეტულ აქციასთან არ ჭრის... პროტესტი გაგრძელდება, ტაქტიკები გამოიცვლება, შეიძლება, ყოველთვის არ იყოს მასობრივი ფორმით, მაგრამ საპროტესტო მუხტი არ განელდება“, — უთხრა „რადიო თავისუფლებას“ გიორგი მელაძემ.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

ჟამი საყოველთაო ლუსტრაციისა: მითხარი, ვინ გიჭერს მხარს – და გეტყვი, ვინ ხარ შენ!..

ერთხელ ჩემს ბლოგში დავწერე, რომ „ქართული ოცნების“ ეპოქას ერთი მნიშვნელოვანი პლუსი აქვს – ეს ყველას და ყველაფრის ლუსტრაციის ეპოქაა. ყველა, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში იძულებული იყო, ჩრდილში გადაენაცვლა, ერთბაშად კვლავ მზის შუქზე გამოვიდა.

ქართველ ხალხს, 1990-იანი წლების მსგავსად, მისცეს შესაძლებლობა, სარკეში ჩაეხედა და იქ დანახული დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა: გაირკვა, რომ მოქალაქეთა არცთუ მცირე კატეგორიისთვის 1990-იანების შემდეგ გასულმა ოცმა წელმა ფუჭად ჩაიარა; კვლავ აქტუალურია 1980-1990-იანების ფრაზები „იდენტობას გვართმევენ“!, „ირგვლივ ყველა მტერია და ჩვენს განადგურებას ცდილობენ“! „ქართველობას გვართმევენ“!, „ყველა არამართლმადიდებელი სატანისტია“!...

იყო მომენტი, როდესაც გვეჩვენებოდა, რომ ეს უკვე წარსულს ჩავაბარეთ. მაგრამ როგორც „ოცნების“ მმართველობის პერიოდმა გვიჩვენა, ეს ყველაფერი არსად გამქრალა, უბრალოდ, სადღაც მიინაბა შესაბამისი პირობების მოლოდინში.

ამ თვალსაზრისით „ოცნებას“ მადლობა უნდა გადავუხადოთ: აბა, სხვა როგორ გავარკვევდით, რომ გვყავს ნამდვილი ფაშისტები, რომ „ეროვნულად აღტყინებული“ მოქალაქეების უმეტესობა ამავე დროს ყველაზე მეტად პრორუსულადაა განწყობილი და რომ კრემლის გავლენის მთავარი აგენტი ეკლესიაა.... მთელი ეს ნაგავი ზედაპირზე სწორედ „ოცნების“ მმართველობის პერიოდში ამოტივტივდა და ეს გარკვეული თვალსაზრისით მისი დამსახურებაა. სხვა თუ არაფერი, დღეს უკვე ვიცით, ვინ ვინ არის!

ამ დღეებში, როდესაც თბილისის ქუჩებში მასობრივი პროტესტი გრძელდება, ჩვენ უფრო მცირე მასშტაბის და სხვა სახის რამდენიმე ლუსტრაციას ვხედავთ, თუმცა ეს მას ნაკლებ საინტერესოს როდი ხდის.

ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც არსებობს გარკვეული ეროვნული თავისებურებები და ჩვევები. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლების მხარდაჭერა – ეს მთლიანობაში ცუდი ტონია. ნამდვილი ქართველი ხელისუფლებას მხარს ღიად ვერ დაუჭერს – ეს ჯერ კიდევ კომუნისტური დროიდან მოგვდევს. შესაძლოა, გულის სიღრმეში უჭერდეს, არჩევნებზე ხმა მისცეს, ეს – კი ბატონო, რამდენიც გინდა, მაგრამ საჯაროდ დაუჭიროს მხარი – ეთაკილება.

თუმცა ეს წესი მხოლოდ მშვიდობიან დროს მოქმედებს: როდესაც ყველაფერი კარგად არის, ხელისუფლება სტაბილურია და არაფერი ემუქრება. სულ სხვაგვარადაა საქმე არასტაბილურობის და ძალაუფლების დაკარგვის საფრთხის პირობებში, როდესაც მოჩვენებითი სიმშვიდის თამაშის დრო აღარ რჩება და „თავისიანების“ გადარჩენაა საჭირო. ეს ნამდვილი სიურპრიზების დროა, როდესაც ხელისუფლების ღიად მხარდასაჭერად დგებიან ისინი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ სახელისუფლებო ჩინოსნებს იდიოტებად მოიხსენიებდნენ და უკადრისობდნენ, როდესაც ვინმე მმართველი პარტიის მხარდაჭერაში ადანაშაულებდათ.

ყველგანმავალი „შუაშისტები“, რომლებიც მუდამ ნაწყენების, ყველაზე ჭკვიანების და არდაფასებულების პოზაში დგანან... ჯერ კიდევ გუშინ ისინი ამბობდნენ, რომ „ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთი ჭირია“. მაგრამ ახლა, როდესაც საქმე ცუდად მიდის, მათ, მართალია, დიდი ენთუზიაზმის გარეშე, მაგრამ ჩამოიხსნეს ნიღაბი და ხელისუფლების მხარდასაჭერად დადგნენ – კი, მხოლოდ სოცქსელებში, არა რეალურ ცხოვრებაში, მაგრამ მაინც...

„როგორ შეიძლება პარლამენტში შეჭრა?“, „რა უნდათ ამ ოპოზიციონერებს, მორიგი რევოლუცია?“, და, რაღა თქმა უნდა, „7 ნოემბერი“, „26 მაისი“, „გირგვლიანი“ და ა.შ...

რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, ნებისმიერი ასეთი პერსონა, რომელსაც ცვლილებები სძულს და მინიმალური რისკიც კი აშინებს, საბოლოო ჯამში, მაინც სახელისუფლებო ანკესზე ეგება.

ხოლო ნაციონალისტები, ჰომოფობები, ეროვნული იდენტობისა და ქართველობის დამცველები, ქსენოფობები და უბრალოდ ფაშისტები ... რამდენი წლის განმავლობაში ასხამდნენ ისინი ხელისუფლების თავზე ღვარად ნაგავს, უწოდებდნენ „მუხანათ ლიბერასტს“, ხოლო საკუთარ თავს – „ჭეშმარიტად ქართული სულის დამცველს“. მაგრამ როგორც კი „მეოცნებეებს“ გაუჭირდათ, სოცქსელებში ქსენოფობების კომენტარები შეიცვალა, ეს „ანტიოცნებური“ ჟინი სადღაც გაქრა და დღეს ყველა სჯულის „ხმალამოღებული“ ფაშისტი უმოწყალოდ „კვეთს თავებს“ „თავხედ“ ოპოზიციონერებს“...

ერთი ნაცნობი მყავს „ფეისბუქში“ – ერთ-ერთი იმათგანი, ვინც თვლის, რომ მთელი მსოფლიო ისტორია სხვა არაფერია, თუ არა გეების ბრძოლა დანარჩენ სამყაროსთან. დიადი ქართული იდენტურობის სხვა ჭეშმარიტი დამცველების მსგავსად, ისიც რუსეთში ცხოვრობს. მასაც უყვარდა ხელისუფლების კრიტიკა, „ოცნებას“ სიბეცეში, სიხისტეში ადანაშაულებდა, წერდა, რომ აუცილებელი იყო მისი გაგდება... მაგრამ ჰოი, საოცრებავ! – თითქოს დადგა დრო, მისთვის ვითომდა საძაგელი ხელისუფლების წინააღმდეგ გაილაშქროს, ის კი კომენტარს კომენტარზე წერს, „როდის მოვლენ ნამდვილი ქართველი მამაკაცები და ამ პედერასტებს განდევნიანო“...

და მას ვერ გააგებინებ, ან რუსეთიდან ვერ ხედავს, რომ „ნამდვილი მამაკაცები“ მიმდინარე აქციების დასაშლელად იმიტომ არ გარბიან, რომ ერთია, როდესაც 15 ლესბოსელი და 5 გეი ან კლუბების 500-მდე მოყვარული თინეიჯერი იკრიბება, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც ქუჩაში რამდენიმე ათასი ადამიანი გადის და მათ შორის არა მარტო „აჩკარიკა ბოტანიკოსები“... არიან, არამედ ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდებიც: ადგილობრივმა უბადრუკმა ფაშისტებმა მშვენივრად იციან, რომ ასეთი აქციების დასარბევად მისულებს იქიდან, საუკეთესო შემთხვევაში, ნაწილ-ნაწილ გამოიტანენ...

მაგრამ განსაკუთრებულ, შეიძლება, ითქვას, გაუკუღმართებულ სიამოვნებას მანიჭებს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერა იმ საბჭოელების მხრიდან, რომლებსაც მთელი ეს წლები სიტყვაც არ დასცდენიათ ხელისუფლების მხარდასაჭერად, ახლა კი მთავრობის იმ თავგამოდებული დამცველების რიგებში დგანან, რომლებიც თითქოს ყველას და ყველაფერს ლანძღავდნენ, სულ მცირე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

საბჭოელებიც იმისთვის არიან, რომ ყველაფერი თავისებურად – საბჭოურად დაიცვან. მაგალითად, ერთი საბჭოელი ბლოგერი წერს: „მომიტინგეთა რაოდენობა რამდენჯერმე შემცირდა, თანაც აქციაზე უკვე რამდენიმე მთვრალია“, მეორეც უმოწმებს: „რა თქმა უნდა, აბა რა, სასმლის გარეშე სად შეიძლებაო“...

ძალაუნებურად გახსენდება უფროსი თაობის კომპარტიელების დასკვნები, რომლებიც ხალხის ნებისმიერ აქტივობას ერთი და იგივე სიტყვებით აღწერდნენ: „ექსტრემისტულად განწყობილი, ნარკოტიკული და ალკოჰოლური თროობის მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ჯგუფმა“.... ასეა ყოველთვის; თუ ვინმე რამეს ეწინააღმდეგება, აუცილებლად მთვრალია, ან კაიფში.

ერთი სიტყვით, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თვალთმაქცობისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების იმიტირების დრო აღარ არის. ჰოდა დალაგდნენ ერთ მწკრივად ყველანი, ვისი ლუსტრირებაც დიდი ხნის წინათ უნდა მომხდარიყო.

არ მინდა, არასწორად გამიგონ: კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერის ფაქტი, როგორც ასეთი, დასაგმობი სულაც არ არის და „ოცნების“ ბევრი მხარდამჭერი ვიცი, რომელიც არც გეებზე ნადირობს, არც ფაშისტია, არც საბჭოელი...

პრობლემა მხოლოდ ერთშია, მე რომ მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერი ვიყო, ჩემთვის ძალზე არასასიამოვნო იქნებოდა მთელს ამ ნაგავთან ერთად ერთ ბანაკში ყოფნა. ბოლოს და ბოლოს, თავად ფაქტი, რომ ისინი ხელისუფლებას მხარს უჭერენ – ეს უკვე კომპრომატია. მითხარი, ვინ გიჭერს მხარს – და გეტყვი, ვინ ხარ შენ.



თენგიზ აგლოთია.

(პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორს ეკუთვნის და არ ემთხვევა რედაქციისას).

ამისთვის არიეთ ქვეყანა? სულ ეს ხართ „ნაცები“ და მეტი არაფერი?

საინფორმაციო სააგენტო **„ექსკლუზივნიუსის“** დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **დარეჯან ლიპარტელიანი** სოციალურ ქსელში ასეთ პოსტს აქვეყნებს:

„ამისთვის არიეთ ქვეყანა და საფრთხე შეუქმენით ქვეყნის უსაფრთხოებას, თქვე მართლა საფრთხობელებო?... სულ ეს ხართ „ნაცები“ და მეტი არაფერი?...

იმ ერს რა ვუთხრა, თქვენი, როგორც ქვეყნისთვის საშიში ძალა რომ არ აკრძალოს და არ გაასამართლოს... „ნაცებო“, სწორედ თქვენმა აბდაუბდა და აბსურდულმა, აგრესიულმა პოლიტიკამ ქვეყანაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა.. ყველაფერი გააჩერეთ და ჩაკალით, ქვეყანა ფინანსურად დააზარალეთ და ბოლოს, „ერთი პანაშვიდის ხალხი“ დარჩით რუსთაველზე?... თქვენ მართლა ქვეყნის მტრები ხართ...

მე ერთს ვიტყვი მხოლოდ, გულწრფელად და დაუფარავად – ძირს ფაშისტური ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობა“ და აეკრძალოთ მათ პოლიტიკური საქმიანობა საქართველოში!

ყველა ჩვენგანის ვალია, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა პროვოკატორი „ნაციონალებისგან“ და გავერთიანდეთ ყველა ერთი მიზნისთვის, ერთად დავამარცხოთ ქვეყნისთვის საშიში სენი, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია...

გახარიას და რომელიმე მინისტრის მხარდასაჭერად კი ნუ ქმნით სოციალურ ქსელში ჯგუფებს, შექმენით ერთობა ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად და „ნაციონალებისთვის“ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის შესახებ, შეიქმნას პეტიცია და დაიწყოს ხელმოწერები, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან... აღვგავოთ საქართველოში ეს მოღალატე და არეულობის შემომტანი პოლიტიკური პარტია. კარგად დაფიქრდით ყველანი და გააანალიზეთ, რა მოუტანა ქვეყანას ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა და ამ ჯოჯოხეთურმა 10 დღემ?.. რა სარგებელი მიიღო ჩვენმა ქვეყანამ და ვინ იხეირა ამ პროცესებით ყველაზე მეტად, საქართველომ თუ მისმა მტრებმა? დაფიქრდით ამაზე, კარგად დაფიქრდით, ოღონდ, ცივი გონებით და ემოციების გარეშე!..“

პარკირების პრობლემიდან - დარეჯნის სასახლის მოწესრიგებამდე...

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მუშაობს...

როგორც მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა აღნიშნა, კოტე აფხაზისა და მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრებლებს ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემაში რეგისტრაცია და ინფორმაციის მიღება თბილისის მერიის მიერ დადგმულ სპეციალურ პავილიონში შეუძლიათ. საპილოტე პროექტი პირველი აგვისტოდან ამოქმედდება, ადგილობრივებს კი საკუთარი ავტომობილების გაჩერება უფასოდ შეეძლებათ.

„მოგეხსენებათ, პირველი აგვისტოდან ამოქმედდება ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა კოტე აფხაზის ქუჩასა და მიმდებარე ქუჩებზე. იქ მცხოვრები ადამიანებისთვის ავტომანქანების გაჩერება უფასო იქნება. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, პირველ რიგში, თავიანთი ავტომანქანები სისტემაში უნდა დაარეგისტრირონ. ეს მათ შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელადაც. თუმცა, რადგან სიახლეა, საზოგადოების მეტად ინფორმირებისთვის ლესელიძის ქუჩაზე განვათავსეთ სპეციალური ჯიხური, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს შესაძლებლობა, მივიდეს და რეგისტრაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღოს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, მას შემდეგ, რაც საპილოტე პროექტი წარმატებით განხორციელდება, ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა დედაქალაქის სხვა უბნებშიც ამოქმედდება.

„1 ოქტომბრიდან ძალაში შედის ტაქსების რეფორმის მეორე ეტაპი და ამოქმედდება ორი კატეგორიის ნებართვა — A და B. A არის თეთრი ფერის, სპეციალური აღმნიშვნელისა და ტაქსის მაიდენტიფიცირებელი საშუალების გამოყენების უფლების მქონე ტაქსი, ხოლო B კატეგორია არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ იყენებს მაიდენტიფიცირებელ საშუალებას, შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის და შეკვეთას იღებს აპლიკაციის ან სატელეფონო შეტყობინების საფუძველზე. ჩვენ პირველი ივლისიდან დავიწყეთ აღნიშნული ტაქსების კატეგორიებად დაყოფა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტაქსის ნებართვის მფლობელი სისტემაში უთითებს, თუ რომელი კატეგორიით სურს საქმიანობის გაგრძელება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია და მასში ერთვება იუსტიციის სახლი. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო იუსტიციის მინისტრს თანამშრომლობისა და თანადგომისთვის. 10 ივლისიდან იუსტიციის სახლში გამოყოფილი იქნება სივრცე, სადაც ტაქსის ნებართვის მფლობელებს შეუძლიათ მიმართონ და ისარგებლონ სპეციალური მომსახურებით“, — განაცხადა კალაძემ.

* * *

როგორც მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის დასრულებულ უჯრედებში ბიოგაზის მოპოვებისა და მის ღირებულ პროდუქტად გარდაქმნის კონცეპტუალურ პროექტს ბელგიური კომპანია „ჯეო კონსულტანტი“ მოამზადებს.

კახა კალაძის თქმით, პროექტი ხელს შეუწყობს ნარჩენების პოლიგონის გამართულ ფუნქციონირებას და ამ გზით დედაქალაქის ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღებას.

„არაერთხელ გვისაუბრია ეკოლოგიაზე და იმაზე, რომ ყველაფერს ვაკეთებთ და უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეკოლოგიური მდგომარეობა გამოსწორდეს. რაც შეეხება ლილოს ნაგავსაყრელს, ის არის უმძიმეს მდგომარეობაში და თუ ჩვენ არ გადავდგით კონკრეტული ნაბიჯები, ძალიან მძიმე შედეგს მივიღებთ.

არსებული ნაგავსაყრელი ფაქტობრივად შევსებულია, იქ არის ძალიან დიდი მასა ნარჩენების, შესაბამისად არის იმის შესაძლებლობა, რომ ამ ნარჩენებიდან მივიღოთ პროდუქტი, ამ შემთხვევაში ბუნებრივ აირზე არის საუბარი.“

* * *

მთავრობის სხდომაზე ასევე ცნობილი გახდა, რომ დიღმის ტყე-პარკში მდებარე კიდევ ერთი, კერძო საკუთრებაში არსებული 679 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების შედეგად, დედაქალაქს დაუბრუნდება.

კახა კალაძის თქმით, მესაკუთრეს დიღმის ტყე-პარკში არსებული ტერიტორიის სანაცვლოდ, მიწის ნაკვეთი ჩოლოყაშვილის ქუჩაზე გადაეცემა.

როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, კერძო მესაკუთრეებთან მოლაპარაკებების შედეგად ქალაქს ჯამში 27 086 კვადრატული მეტრი მიწის ფართი დაუბრუნდა და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

* * *

„ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ეკოლოგიასა და მწვანე სივრცეების შენარჩუნებასა თუ მოწყობაზე. გვისაუბრია იმაზეც, თუ რამდენი მწვანე სივრცე შეეწირა ქალაქში მშენებლობებს. სამწუხაროდ, ეს ხდებოდა პარკებსა და სკვერებში. ამის ერთ-ერთი მაგალითი კი დიღმის ტყე-პარკია, რომელიც ფაქტობრივად მთლიანად იქნა გასხვისებული და დღეისათვის იქ, დაახლოებით, 80% კერძო საკუთრებაშია.

მერად არჩევის შემდეგ მე განვაცხადე, რომ ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ გამოგვესყიდა ეს უნიკალური ტყე-პარკი, რადგან ის არის იდეალური მწვანე სივრცე, უამრავი ადამიანი ცხოვრობს გარშემო და მათთვის ეს პარკი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ 2017 წლიდან დავიწყეთ მოლაპარაკებები კერძო მესაკუთრეებთან და ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ამ მოლაპარაკებების შედეგად ქალაქს მიწის ნაკვეთების გარკვეული ნაწილი დავუბრუნეთ. თუმცა კიდევ რჩება მიწის ნაკვეთები, რომელსაც სჭირდება ადგილმონაცვლეობა ან გამოსყიდვა. ჩვენ ამ საქმეს აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ და იქ იქნება ერთ-ერთი საუკეთესო მწვანე სივრცე, სადაც ნებისმიერ ადამიანს ექნება დასვენების შესაძლებლობა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

დედაქალაქის მერმა კიდევ ერთ სიახლეზე ისაუბრა. მისი თქმით, თბილისი European Best Destinations-ის 2020 წლის კონკურსის „წლის საუკეთესო ევროპული მიმართულება“ კანდიდატი გახდა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, მერია ფოტოკონკურსს გამოაცხადებს იმისთვის, რომ EBD-ზე წარსადგენი საუკეთესო ფოტოები გამოვლინდეს.

ამასთან, დედაქალაქის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარიას განმარტებით, EBD-ის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქართველი ფოტოგრაფების მიერ გადაღებული 30 ფოტო იქნება საჭირო.

რაც შეეხება EBD-ის კონკურსს, დედაქალაქის მერის თქმით, გამარჯვებული ხმის მიცემით გამოვლინდება.

„დარწმუნებული ვარ, რომ თბილისი თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. მართლაც ულამაზესია ჩვენი ქალაქი თავისი კულტურით, ტრადიციებით, შენობა-ნაგებობებით, კონკრეტული ადგილებით, რომელიც ადამიანებმა აუცილებლად უნდა ნახონ. ვინც კი ერთხელ მაინც ყოფილა თბილისში, გამორიცხულია, რომ მეორედ და მესამედ არ ჩამოვიდეს. ჩემი იტალიელი მეგობრები ერთხელ რომ ესტუმრნენ თბილისს, მას მერე მასზე და ქართველ ხალხზე შეყვარებულები არიან“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

როგორც მთავრობის სხდომაზე გახდა ცნობილი, თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური კომპანია „გალტ ენდ თაგარტთან“ პარტნიორობით, ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროს წარმომადგენლებისთვის, მცირე და საშუალო განთავსების ობიექტების შესახებ სემინარს ჩაატარებს. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ ისაუბრა. მისი თქმით, იმისთვის, რომ დედაქალაქში ტურისტული პოტენციალი კიდევ უფრო გაიზარდოს, ამ მიმართულებით მერია მასტერკლასებს და სემინარებს მუდმივად ატარებს.

„საუკეთესო მახასიათებლები, რომელიც ჩვენს ქალაქს, ქვეყანას გააჩნია, აუცილებლად სწორად უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც ქვეყნის საკეთილდღეოდ, ასევე, ეკონომიკური განვითარებისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ამას სჭირდება ხელშეწყობა, განვითარება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სერვისების გაუმჯობესება. ამისთვის, რა თქმა უნდა, დედაქალაქის მერიის მხრიდან იქნება მაქსიმალური თანადგომა“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

სემინარი, რომელიც 9 ივლისს ჩატარდება, ამ სფეროს წარმომადგენლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში დაეხმარება.

* * *

კახა კალაძემ თბილისის განვითარების ფონდის ახალ პროექტზე — დარეჯნის სასახლის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციაზეც ისაუბრა.

მისი თქმით, პროექტის განხორციელებას ჯამში, დაახლოებით, 16 თვე დასჭირდება და სავარაუდო ღირებულება ორ მილიონი ლარია.

„პროექტის ფარგლებში იგეგმება ეზოს კეთილმოწყობა. რეაბილიტირდება ერეკლე მეფის აბანო, გალავანი. ასევე, განხორციელდება ფერისცვალების ეკლესიის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოები, რომელიც დაახლოებით, 52 000 ლარი ჯდება. მწვანე სივრცე მთლიანად მოწესრიგდება. სამუშაოების დასრულების შემდეგ ქალაქის ცენტრში, ტურისტულ ზონაში, შეიქმნება კიდევ ერთი მიზიდულობის ცენტრი. ამის შემდეგ მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი სახლების ფასიც გაიზრდება“...

მძღოლები ვიდეოჯარიმის გადახდას შსს-ს ოფიციალურ ვებგვერდზე შეძლებენ

„შინაგან საქმეთა სამინისტრო მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით აგრძელებს ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას.

პირველად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდს — POLICE.GE დაემატა ინოვაციური სერვისი — ვიდეოჯარიმების ონლაინ გადახდის ფუნქცია. ამიერიდან, მძღოლები ვიდეოჯარიმის გადახდას უკვე სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზეც შეძლებენ, ერთი პლატფორმის პრინციპით“, — აცხადებენ შსს-ში.

კერძოდ, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე — police.ge, ე.წ. ჯარიმების კაბინეტს დაემატა ჯარიმის გადახდის ფუნქცია. აღნიშნული ფუნქცია მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, ერთ ვებგვერდზე ნახონ ვიდეოჯარიმის სტატუსი და მისი არსებობის შემთხვევაში, ამავე გვერდზე ყველაზე დაბალი საკომისიო გადასახადით — 1%, შეძლონ საჯარიმო ქვითრის გადახდა.

საქართველოში საწვავი გაძვირდა!

საქართველოში მოქმედი ნავთობკომპანიების უმეტესობამ საწვავი გააძვირა. ამის მთავარი მიზეზი სავარაუდოდ ლარის გაუფასურებაა. თუმცა, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მონაცემებით, ბოლო პერიოდში საწვავის საერთაშორისო ფასებიც გაიზარდა.

რეგულარის ტიპის ბენზინის ღირებულება 5 თეთრით გაიზარდა. „სოკარის“ ქსელში ახალი ფასი 2.48 ლარია, „ვისოლში“ — 2.54 ლარი, „ლუკოილში“ — 2.46 ლარი, „გალფში“ — 2.54 ლარი.

3-6 თეთრით გაიზარდა სხვა ტიპის ბენზინისა და დიზელის ფასიც.

აუცილებლად აიღეთ პირადობის მოწმობები უფასოდ!

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის პირადობის ელექტრონული მოწმობის უფასოდ გაცემის აქცია დაიწყო.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აქციის მიზანი საარჩევნო სიების სრულყოფა, სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწა და მოქალაქეების თანამედროვე, სანდო ელექტრონული დოკუმენტით უზრუნველყოფაა. მოქალაქეებს აქციით სარგებლობა მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ. ისინი თავისუფლდებიან როგორც პირადობის მოწმობის, ისე ფოტოსურათის გადაღების საფასურისგან. სურვილის შემთხვევაში, აქციით ისარგებლებენ საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქეები და საქართველოს ის მოქალაქეები, რომელთაც 2021 წლის პირველ იანვრამდე უსრულდებათ 18 წელი.

უწყების ცნობით, 2020 წლის პირველ ნოემბრამდე პირადობის მოწმობის უსასყიდლოდ მიღება შეუძლიათ პირებს, თუ:

- მათ სახელზე 2019 წლის 1 ივლისამდე საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი არც ერთი დოკუმენტი არ ყოფილა გაცემული;
- მათზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი 2019 წლის 1 ივლისამდეა გაუქმებული ან უქმდება 2020 წლის 1 ნოემბრამდე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოსურათები გამოუსადეგარია (უხარისხოა) ან საერთოდ არ ინახება სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში;
- რეგისტრაციიდან არიან მოხსნილნი, გაუქმებული აქვთ პირადობის მოწმობა და აქციის ფარგლებში დარეგისტრირდებიან კორექტულ მისამართზე;
- მისამართის გარეშე არიან რეგისტრირებულნი, აქვთ გაუქმებული პირადობის მოწმობა და დარეგისტრირდებიან კონკრეტულ მისამართზე;
- რეგისტრირებულნი არიან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და არ ფლობენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს, ამასთან, გაუქმებული აქვთ პირადობის მოწმობა და დარეგისტრირდებიან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ კონკრეტულ მისამართზე.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში პირადობის ელექტრონული მოწმობა 3 020 000-ზე მეტ მოქალაქეზე გაიცა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოტენციურ ამომრჩეველთა ბაზები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მასში სამ მილიონზე მეტი დაზუსტებული მონაცემია. მათგან, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 1 630 000-მდე პირადობის ელექტრონული მოწმობა გაცემულია უფასოდ ან შეღავათიან ფასად, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში

მიმდინარე აქციით სარგებლობის მსურველმა მოქალაქეებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ცხელ ხაზზე: 32 2 40 10 10.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ პირადობის ელექტრონული მოწმობა თანამედროვე, გაუყალბებელი, ევროპული დოკუმენტია.

ბათუმი „ევრონიუსის“ ობიექტივში მოხვდა

ბათუმი, როგორც ევროპის ყველაზე სწრაფად მზარდი ტურისტული მიმართულება, „ევრონიუსის“ ობიექტივში მოხვდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გადაცემა Focus-მა ბათუმს ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა, სადაც გადმოცემულია, თუ რატომ არის ბათუმი ტურისტებისთვის მიმზიდველი ტურისტული მიმართულება.

რეპორტაჟში საუბარია ქალაქსა და ზოგადად, რეგიონში ტურიზმის სწრაფად განვითარებაზე, ტურისტულ პროდუქტებზე, ტრადიციებსა და კულტურაზე.

რეიტინგული ტელეარხის გადამღები ჯგუფი რეგიონს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მიწვევით სტუმრობდა. ბათუმზე მომზადებულ რეპორტაჟს კი „ევრონიუსის“ მილიონობით მაყურებელი 12 ენაზე ერთი კვირის განმავლობაში გაეცნობა. გარდა რეპორტაჟებისა, „ევრონიუსის“ მაყურებელი 2017 წლიდან დღემდე ეცნობა აჭარის საიმიჯო ვიდეოკლიპებს, რომელიც ყოველწლიურად და მათ შორის წელსაც, ტელეკომპანიის ეთერით გადაიცემოდა.

სვანეთში „იფარის“ აღდგენითი სამუშაოები დასრულდა

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ სვანეთში მდებარე ელექტროგადამცემ ხაზზე „იფარი“ აღდგენითი სამუშაოები დაასრულა.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ინფორმაციით, სოფელ კალას მიმდებარე ტერიტორიაზე, ალპურ ზონაში, ზვავმა დააზიანა ელექტროგადამცემი ხაზის 72-ე ანძა, რამაც საფრთხის ქვეშ დააყენა ჰიდროელექტროსადგურის „მესტიაჭალა 1-2“-ის მიერ გამომუშავებული სიმძლავრის ქსელში ინტეგრირება.

ელექტროგადამცემი ხაზი „იფარი“ ერთმანეთთან აკავშირებს ქვემო სვანეთისა და მესტიის რაიონების ქვესადგურებს და მისი ძირითადი მარშრუტი ზღვის დონიდან 3000 მეტრზე გადის.

ელექტროსისტემის ინფორმაციით, აღდგენითი სამუშაოების ფარგლებში, გაიწმინდა გზის 12 კმ-იანი მონაკვეთი, მათ შორის 5 კმ ალპურ ზონაში მდებარეობდა, სადაც დიდი იყო ზვავსაშიშროების რისკი. დაზიანება სრულად აღმოიფხვრა. გარდა ამისა, პრევენციის მიზნით, კონკრეტულ ლოკაციაზე დაემატა კიდევ ერთი ანძა.

„საღორიის ტყის“ განახლების ღონისძიებები გრძელდება

ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, ქუთაისში, ე.წ. საღორიის ტყის აღდგენის გასაგრძელებლად ტერიტორიის შესწავლა გრძელდება. უწყების ცნობით, საველე შესწავლა დაგეგმილია 17 ჰა ფართობზე.

ე.წ. საღორიის ტყის ტერიტორიაზე, სააგენტო ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებებს 2016 წლიდან ახორციელებს. ფართობზე მუხნარი კორომის სანიტარიული მდგომარეობა წლების განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი იყო. მუხის ხმობა მავნე მწერით – მუხის დიდი ხარაბუზით იყო გამოწვეული.

სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, ფართობზე სანიტარიული ჭრები ეტაპობრივად ხორციელდება. მიმდინარე წელს, აპრილ-მაისში სანიტარიული ჭრის წესით ხმელი და დაავადებული ხე-მცენარეების (535 კუბური მეტრი) ჭრა განხორციელდა. მიმდებარე ფართობებზე დამატებით მონიშნულია სანიტარიული ჭრის ტყეკაფები, საერთო მოცულობით 970 კუბური მეტრი, საიდანაც ამ ეტაპზე 665 კუბური მეტრი მოჭრილია.

ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, 2018 წლის საშემოდგომო სეზონზე ტერიტორიაზე დაირგო ქუთაისის სატყეოს ტერიტორიაზე არსებული ტყის დროებით სანერგეში გამოყვანილი 9 500 ცალი მუხის და იფნის ნერგი.

საქართველო-სერბეთის ბიზნესფორუმი

ტურიზმი და გადამმუშავებელი მრეწველობა – ეს არის ორი ძირითადი სექტორი, რაშიც თანამშრომლობის დიდ პოტენციალს ვხედავთ საქართველოსა და სერბეთს შორის – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ სასტუმრო „რედისონში“ საქართველო-სერბეთის ბიზნესფორუმზე განაცხადა. მისი თქმით, ის ფაქტი, რომ ერთ წელიწადში უკვე მეორე ფორუმი იმართება, მოწმობს, რომ საქართველოსა და სერბეთის ბიზნესებს შორის ურთიერთობა გააქტიურდა, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას. თავის გამოსვლაში გენადი არველაძემ ვრცლად ისაუბრა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებზე, თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების მნიშვნელობაზე და ყველა იმ მიმართულებაზე, რომელიც პრიორიტეტულია საქართველოს მთავრობისთვის ბიზნესის ხელშეწყობის, საერთაშორისო ვაჭრობის გაზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

საქართველო-სერბეთის ბიზნესფორუმი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით გაიმართა. ფორუმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა ნინო ჩიქოვანმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ, სერბეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ნემანჟ სტევანოვმა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა ელენა იოვანოვიჩმა.

ივნისში დეფლაცია აღინუსხა, წლიური ინფლაცია კი, 4.3 პროცენტამდე შემცირდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019 წლის ივნისში წინა თვესთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში მინუს ერთი (-1) პროცენტი შეადგინა, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 4.3 პროცენტი შეადგინა, მაისში წლიური ინფლაცია 4.7 პროცენტი იყო.

საქსტატის ცნობით, ივნისში წინა თვესთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში აღინუსხა ფასების 3.9-პროცენტიანი კლება. ფასები შემცირებულია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (-27.9 პროცენტი), ხილი და ყურძენი (-5.8 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე 1.3 პროცენტით, ასევე რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე 0.7 პროცენტით.

ტრანსპორტის ჯგუფში აღინუსხა ფასების 0.9-პროცენტიანი მატება, რაც 0.1 პროცენტული პუნქტით აისახა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე. ჯგუფში ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე 1.1 პროცენტით და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე – 1.0 პროცენტით.

ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში აღინუსხა ფასების 0.8-პროცენტიანი მატება. ფასები გაზრდილია სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობის ქვეჯგუფზე 1.9 პროცენტით.

რაც შეეხება წლიურ ინფლაციას, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 6.5 პროცენტით, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ჯგუფში 20.1 პროცენტით; ტრანსპორტის ჯგუფში დაფიქსირდა ფასების 3.2-პროცენტიანი მატება; დასვენების, გართობისა და კულტურის მიმართულებით ფასები გაზრდილია 5 პროცენტით; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კი მომატებულია 2.9 პროცენტით.

◎ არ ვიგულმავიწყოთ!

ჩვენი დედაქალაქის ავტობიოგრაფიიდან...

რატომ სცემეს ტფილისის მთავარ ქუჩაზე პოლიციელებმა ქალაქელები და ვის საჩივრებს სვამდნენ ლუდით 1905 წელს ტფილისში

ზაფხულის სეზონი დაიწყო... ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება გამოსცა, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს სანიტარიის მხრივ ტფილისის ახლო მდებარე სააგარაკო ადგილებს: კოჯორს, მანგლისს და აღბუღალოს... უთქვამს, გზები ალაგ-ალაგ არის შეკეთებული და სასწრაფოდ გამოასწორეთო... 1903 წლის 1 ივლისიდან 1905 წლის 1 მაისამდე ქუჩების მოკირწყვლის მეტი არაფერი უკეთებიათ, სულ 218 ათას 934 მანეთი და 82 კაპიკი დახარჯულა და წვიმები რომ იყო, ქუჩებში მაინც გუბეები იდგაო...

გზების ამბავი ტფილისში განსჯის საგანი გახდა! ვერელმა თევდორე ბოგდამოვმა ტფილისის გუბერნატორს თხოვნით მიმართა, რომელშიც ამბობს, რომ ვერისა და დიდუბის შესაერთებლად, ჩემის ხარჯით რკინის ხიდს გავდებ მტკვარზედ იმ ადგილას, სადაც ქუთაისის ქუჩა დიდუბეში მდინარისკენ უხვევს, ოღონდ თქვენ ნებართვა მიბოძეთ, გამვლელ- გამომვლელს იმდენივე გადავახდევინო, რამდენსაც ახლა ქალაქი იღებსო. ტფილისის გუბერნატორმა ეს თხოვნა ქალაქის გამგეობას გადაუგზავნა და უბრძანა, პირველ ივლისამდე თქვენი აზრი შემატყობინეთო...

ქალაქში წყლის ნაკლებობაა... ენფიანჯიანცმა განაცხადა, წყლის მეორე მილის გამოყვანა შეაგვიანებს კიდევ კარგა ხანს და ამიტომ გამგეობას აზრადა აქვს, ქალაქის ქუჩების მოსარწყავად მტკვრის წყალი გამოიყენოსო...

გამგეობა უფულობას ასახელებს იმის მიზეზად, რომ სისრულეში არ მოჰყავს საბჭოს გადაწყვეტილება მტკვარზე ღარიბთათვის საზაფხულო აბანოების გამართვის შესახებ, არადა, ხომ კარგად გვახსოვს, რომ გამოაცხადეს, ამ საქმისათვის საბჭომ 6000 მანეთი გადადოო...

ტფილისში არსებობს ახირებულ ადამიანთა კრებული, რომელსაც სახელად ეწოდება „ქალაქის სკოლების მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“. ეს საზოგადოება თურმე კვირაში ერთხელ იკრიბება, ესწრება 60-მდე მანდილოსანი, ხოლო ამის შემდეგ კრებაზე რა ხდება, არავინ იცის, რადგან პატივცემული პედაგოგები პრესის წარმომადგენლებს ისე გაურბიან, როგორც სინათლეს. ხოლო კრებები რომ მშვიდობიანად არ მთავრდება, ეს იქიდანაც ჩანს, რომ კრების დარბაზიდან გამოსული მანდილოსნები საჩქაროდ ცრემლებს იწმენდენ, ზოგიც ხელების ქნევით გარბის და, თუ რაიმე შეეკითხე, პირში მოგახლის — „არ შემიძლია, არ შემიძლიაო“. ნეტა რაზე იშლიან ნერვებს პატივცემული პედაგოგები, ღვთის მადლით, ამ პროფესიის ადამიანებს ჩვენს ქალაქში ჯერ პატივი არ აკლიათო...

პოლიცია თავს გავიდა. ორიოდე დღის წინ ტფილისის პოლიცმეისტერის ბრძანება გამოქვეყნდა, რომლითაც პოლიციას ევალება, მიიღოს ყოველივე ზომები, რომ სამგლოვიარო პროცესიები ქუჩებში არ უშლიდნენ მოძრაობას. ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანს სვეშნიკოვს განუცხადებია, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ პოლიციელებმა დაუზოგავად და განუკითხავად სცემეს ქალაქის უმცროს მოხელეებს. გაგვაგებინეთ, რად სცემს ან ვისაო? ქალაქის მოურავმა აცნობა საბჭოს, უბნის ზედამხედველმა სცემა ავლაბრის სასწორის მწონავს იმის გამო, რომ სასწორზე დათვი აწონა. ამის მერე პოლიციელებს რიყეზე ფარნების ამნთები უცემიათ, რადგან მას დილის 5 საათზე გაუქრია ფარანი. მერე გოლოვინზე ქალაქის მუშებიც უცემიათ, რას შეკრებილხართ ერთად და რას ლაპარაკობთ ამდენსო... გამგეობას დაუდგენია, წერილით მიმართოს პოლიცმეისტერს, რათა პასუხისგებაში მიეცეს ყველა თავნება პოლიციელი, ქალაქის მოსამსახურეთა ცემა-ტყეპისთვის...

ბათუმში თითქმის ყველა ქარხანა დაიკეტა და დიდძალი მუშა უსაქმოდ დარჩა. ადგილობრივი გაზეთის ცნობით, სამი ათას მუშამდე წასულა სოფლებში, თუმცა, ყოველ შაბათ-კვირას სახალხო სეირნობები მაინც იმართება...

ოტო მადერის, ლუიზა მადერის და დიტრიხის ლუდის ქარხნებმა, ახალი სააქციზო გადასახადის და მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების გამო, ლუდი გააძვირეს. ახლა პილზენის ბოთლი ლუდი 11 კაპიკი ღირს და სწორედ იმ 11-კაპიკიანი ლუდით უნდა დავლიოთ იმის სადღეგრძელო, ვინც ცხოვრება ასე გაგვიძვირაო — აი, ასეთი გადაწყვეტილება მიუღიათ ტფილისელებს 1905 წელს.

მაშინაც ივნისი იყო, ლუდის სუნთან ერთად რევოლუციის სურნელი ტრიალებდა ქალაქში.

ირმა სინაურიძე-მაჟაშვილი

◎ თითქმის ნატურიდან

მოდი, ჩვენც შევვარდეთ!

ამ საუბარს, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, გუშინ ვერის ბაღში შევესწარი. ივლისის ხვატს გარიდებული თბილისელები შადრევნის ირგვლივ ჩაწალიკებულ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ და პარლამენტში შევარდნის მცდელობის დიდად გახმაურებული სკანდალური ფაქტის გამო გამორჩეული მოწადინებით მსჯელობდნენ.

— დამიჯერეთ ხალხო, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ისევ ჩვენმა მფარველმა მაღალმა ღმერთმა გადმოგვხედა და გადაგვარჩინა, — წამოიწყო საუბარი ერთ დროს ცხოვრებით ნანებივრებმა მუცელდაჩუტულმა პენსიონერმა.

— ღმერთმა კი არა, ჩემო ძმაო, თუ სიმართლე გვინდა, ვთქვათ, გახარიას ვაუკაცობა-გამჭრიახობამ გადაგვარჩინა, — შეუსწორა მეორემ. — აბა, მაგის ადგილზე ნარჩემაშვილი ყოფილიყო და ვნახავდით, მოძალადე ნაცებს მწვანე ხალიჩას როგორ დაუფენდა.

— ჰოდა, საზოგადოების ერთ ნაწილში ასეთი განწყობა რომ ეგულებოდა, ამიტომაც წამოგვაგო პუტინის რუსეთმა მორიგ პროვოკაციულ ანკესზე.

— რუსეთმა და ჩვენი მთავრობის გაუაზრებელმა მოქმედებამ, ორივემ ერთად სცადა, გავეყვანეთ ეშაფოტზე.

— შედეგიც სახეზეა, ნახეთ, საით მიფრინავს ჩვენი თავისუფალი სტილით მოცურავე ლარი?

— ისე, როგორც ვატყობ, — გააგრძელა კამათი სათვალიანმა წოწოლა კაცმა, — ქართველებს ეს საქმე კარგად გამოგვდის.

— რომელი საქმე, კაცო? — შეიცხადეს ბერიკაცებმა.

— რომელი და პარლამენტში შევარდნის ველური ჩვეულება. აბა გაიხსენეთ, ჯერ კიდევ ზვიადის პრეზიდენტობის დროს როგორი ოპერატიულობით შევძელით ჭურვების ბათქიბუთქით პარლამენტის შენობის შტურმით აღება?

— ეგ მართალია, მაგრამ შეცდომა ხომ ვაღიარეთ და მოვინანიეთ კიდეც.

— ჰო, რა თქმა უნდა, მოვინანიეთ იმით, რომ მეორედ შევარდნაძეს შევუცვივდით და პარლამენტის შენობიდან ისე გავაბუნძულეთ, რომ დასხმული ჩაის დალევაც კი არ ვაცალეთ.

— რას ერჩი, შევარდნაძემ ეს ამბავი მშვენივრად შეიფერა, გაგულისებულმა საზღვარგარეთს კი არ შეაფარა თავი, ქუდი მშვიდად დაიხურა და გურული სიცქვიტით გაუყვა სახლისკენ მიმავალ გზას.

— ჰოდა, ერთხელ რომ გამოუვიდათ, ეტყობა მეორედაც მაგიტომ მიადგნენ ძაღლთაპირი ნაცები პარლამენტის კარს, — დაასკვნა წოწოლა ვერელმა.

— ესენი ისე არიან დაგეშილები, თუ მთავრობის კარი ერთხელ და სამუდამოდ არ ამოვუქოლეთ, წურბელებივით ისევ მოგვასხდებიან ზურგზე და რაც სისხლი დაგვრჩა, იმასაც გამოგვწოვენ.

— ამიტომ, ამას რომ გადავრჩეთ, ჩვენ, პენსიონერებსაც ხომ არ გვეცადა? — წამოჭრა წინადადება განაპირა სკამზე მჯდომმა ხეხერა პენსიონერმა.

— რა უნდა გვეცადა, პარლამენტში შევარდნა? — წამოიქაჩნენ აქეთ-იქიდან.

— ჰო, პარლამენტში შევარდნა! — არ დაიბნა ხეხერა.

— კარგია, კარგი, — მოიწონა ვიღაცამ, ისე დაგვაპატიმრებენ, პარლამენტს ჩვენთვის იმუნიტეტის მოხსნაც არ დასჭირდება.

— რადგან გაქცევის თავი არა გვაქვს, ამ ჩურჩუტ თავშიც იოლად დაგვიმიზნებენ.

— ნუ გეშინიათ, ძმებო, — გამხნევა ხეხერამ მეგობრები, — ჩვენი პოლიციელები მართლა უგულოები კი არ არიან, რომ შეგვხედავენ შიმშილით გალასლასებულ მოხუცებს, შევეცოდებით და საკუთარი ხელით გაგვიხსნიან პარლამენტის კარს.

— მერე, საზღვარგარეთელი პარტნიორები ამას ძალადობრივ შევარდნად არ ჩაგვითვლიან?

— არა, ეს იქნება არა ძალადობრივი, არამედ მშვიდი, დემოკრატიული შევარდნა, რაც ამერიკასაც მოეწონება და ევროპასაც.

— ვთქვათ, მართლა შეგვიშვეს და შევედით, მერე რა უნდა ვაკეთოთ? — დაინტერესდა გრძელთავა მელოტი პენსიონერი.

— საკეთებელზე მეტი რა გვექნება, შე კაცო. მე თქვენ გეტყვით, ცოდნა და გამოცდილება გვაკლია და დავიბნევით. პირველ რიგში, ამ წუნკალ ნაცებს მივუჩენთ საკადრის ადგილს, პენსიებს გავზრდით, ხალხს დავასაქმებთ, რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებთ, ერთი სიტყვით, მართალია, მოვხუცდით, მაგრამ ქვეყანას ამ უქნარა მთავრობაზე უკეთესად მაინც გავუძღვებით.

ეს სიტყვები რომ მოვისმინე, გამახსენდა, რომ წამლები მქონდა მისაღები და ბაღიდან ფეხაკრეფით გავიძურწე, ვეღარ დავადგინე, პენსიონერებმა საბოლოოდ რა გადაწყვეტილება მიიღეს. თუ ძალიან გაინტერესებთ, ხვალ შევივლი ბაღში და გავიგებ ისევ აპირებენ პარლამენტში დემოკრატიულ შევარდნას თუ გადაიფიქრეს.



ოთარ ხუციშვილი



რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

407
უგრალოდ არ მინდა დავიჯერო, რომ ყველაფერი არა ხდება ყველას საკუთრება.

408
ნუ ავუშენებთ თავშესაფრებს სულით ღატაკთ.

409
გვერდიგვერდ ორი გილიოტინა, ანუ კაცპელატი გამართეს. ჯალათები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ვინ უფრო დიდხანს შეინარჩუნებდა საკუთარ თავს.

410
ურთიერთგაგების სიბრტყე – ბრძოლის იდეალური ველია.

411
საცვლელი სამართლიანობა – თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ – თანდათან სამყიდველო სამართლიანობის დონემდე ავიდა.

412
ვის ესმის, როგორ იზრდება ბალახი? – მთიბავს.

413
ადამიანები კანონებს უფლებებში ურევენ.

414
წერაში სხვისი უწიგნურობაც ხელს გვიშლის.

415
მომჯირნედ გამოიყენეთ ვარდნის დროს წარმოქმნილი ენერგია.

416
გევრი რამ სიზმარში ვისწავლე, სიზმარში ქარაგმულად არ ლაპარაკობენ.

417
ნახეთ ერთი, რამდენი წარღვნა ყოფილა უნოეოდ!

418
მფრინავი გალიები დავინახე, შიგ არწივები ისხდნენ.

419
მთელი ცხოვრება შეიძლება სიარული მიზნისკენ, ოღონდ თუ ის ნიადაგ უკან იწევს.

420
არსებობს სიცრუის იდეალური სამყარო, სადაც ყველაფერი ჭეშმარიტია.

421
უმოქმედობას ხშირად კატასტროფულ უშედეგობამდე მივყავართ.

422
ელიტარობა საყოველთაო საკუთრებად გავხადოთ!

423
რა სარგებლობა მოაქვს ფართო თვალსაწიერს? ძალიან ხშირად იმის აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ ყველაზე ვიწრო წრეში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125, 127, 129-131

424
რაღა ადამიანთმცოდნეობის მწვერვალი და რაღა საიდუმლო პოლიციის დოსიე.

425
მის გაგეთაგან უკეთილშობილესი სიტყვები ისმის, მერედა გიკვირთ?

426
გზა შეიძლება რომ პოლიციის კეტმაც გიჩვენოს.

427
მსახიობს სათქმელი მაშინაც კი აქვს, თუ უსიტყვო როლს ასრულებს.

428
დიდი მსახიობი სწორედ გრიმის, პარიკისა და მიწებებული ცხვირის წყალობით იძენს საკუთარ სახეს.

429
გევრი დიდი მსახიობი მინახავს, რომლებიც თავიანთ თავს თამაშობდნენ. მაშინ ვიფიქრე სწორედ, რა პატარები იქნებოდნენ, დიდები რომ არ ყოფილიყვნენ-მეთქი.

დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

430
გალაამის ჭაკი ვირი ადამიანივით ამეტყველდა. რატომ არ უნდა მიჰბაძოს ზოგიერთმა მსახიობმა მის მაგალითს?

431
შექსპირი იქნებ შექსპირი არც ყოფილა, მაგრამ X ნამდვილად არ არის შექსპირი.

432
ამ დრამატურგის პიესებში ქვეყანა კულისებს მიღმაა.

433
ყოველ მაყურებელს თეატრში თავისი აკუსტიკა მიაქვს.

434
ყველაზე სისხლიანი ტრაგედია ის არის, როცა მაყურებელს სისხლი სახეში აწვება.

435
თუ ხერხემალი გადამტვრეულია, კუზი ფსიქიკაზე ამოდის.

436
ზოგიერთს პოლიტიკური ჯირკვლების ჰიპერტროფია სჭირს.

437
არც დიქტატურის მექანიზმია პერპეტუუმ-მობილე.

438
ერთი ნადირი მეორეს განზრახ რომ კლავდეს, ეს ადამიანური იმპულსი იქნებოდა.

439
ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დავაღწევთ თავს ერთ სისტემას – მზისას.

440
ჰამლეტი უკვე კრეზია. საუკუნეების მანძილზე ვიღას არ შეუტანია წვლილი მის მონოლოგში?!

441
ჭეშმარიტი მსახიობი სცენას რომ მიატოვებს, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მხოლოდ ადამიანს თამაშობს.

442
ხელოვნების ძალაა: გმირად შეიძლება რომ ლაჩარი ჰყავდეს.

443
მსახიობები თავიანთ როლს რომ შეასრულებენ, სცენიდან ჩამოდიან თეატრში.

444
ხშირად სინამდვილის ფარსის გადმოცემა სცენაზე მხოლოდ ტრაგედიას შეუძლია.

445
მწერლებო, მელნით კი არა, სისხლით უნდა წერდეთ! ოღონდ არა სხვისით.

446
ამბობენ, კბილებდაცვენილს ენა ულაღდებაო.

447
მხოლოდ პოეტების მარადიულ დაუკმაყოფილებლობას შეუძლია ლიტერატურის დაკმაყოფილება.

448
პლაგიატორებს მშვიდად სძინავთ. მუზა ქალია, იშვიათად თუ აღიარებს, ვინ იყო პირველი.

449
ტრაგედიას გევრნი განიცდიან, მაგრამ სოფოკლე ყველაზე როდი წერს.

450
ერიდეთ იმათ, ვისაც ვერაფრით ვერ გაექცევით!

451
ჰამლეტის საკითხი ყოველ ქვეყანაში თავისებურად ჟღერს.

452
კლასიკოსად დაბადებული არ კვდება. ივიწყებენ.

453
გენიალური ავტორების უდიდეს ნაწარმოებებს ერთი ადამიანის გული იტევს. დრამის მკეთებელთა ეგრეთ წოდებულ პიესებს ყველაზე დიდი სცენებიც ეპატარავებათ.

454
არ არის საჭირო ნაღვლის გაფანტვა პოლიციის ძალით.

455
საკვირველი ამბავია: „სასოწარკვეთის ფილოსოფია“ ყველაზე მეტად ოპტიმისტებს აშინებთ.

456
სატირიკოსებო, სიტყვებს მოერიდეთ, დაე, ციფრებმა ილაპარაკონ!

(გაგრძელება იქნება)

ქართველი ექსპერტები კრემლისგან მეტ ეკონომიკურ სანქციას, „რბილ ძალას“ და სამხედრო რისკებს ელიან

საზოგადოებრივი პროტესტი, **რომელიც კრემლმა სასწრაფოდ „რუსოფობიად“ მონათლა, მე-13 დღეა, გრძელდება. მართალია, რუთაველის გამზირზე მდგომ მოქალაქეთა თავდაპირველ სიას შემდგომში შიდა პოლიტიკური მოთხოვნებიც დაემატა, რაც 20 ივნისის „გავრილოვის ღამეს“ განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა განაპირობა, თუმცა მთავარი ხაზი — „რუსეთი ოკუპანტია!“ არსად დაკარგულა.** რუსეთის მმართველმა ელიტამ არ დააყოვნა და საქართველოს რიგი სანქციები დაუწესა: ფრენების აკრძალვა, ქვეყნიდან რუსეთის მოქალაქეების ევაკუაცია, რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის კონტროლის გამკაცრება... მაგრამ ქართველი ანალიტიკოსები კიდევ მეტის მოლოდინში არიან და მათ შორის სამხედრო რისკებზეც ამახვილებენ ყურადღებას.

„ბოლო დღეებში საქართველოში განვითარებული მოვლენები ნათლად აჩვენებს, რომ რუს დეპუტატ გავრილოვის პროვოკაცია რუსეთის მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი. საქართველოს ხელისუფლებამ, სამწუხაროდ, რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი რისკები სათანადოდ ვერ შეაფასა, ჩვენი მთავრობის მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ გავრილოვის საქართველოში ვიზიტამდე სოციალურ ქსელებში არაერთი ინფორმაცია გავრცელდა საქართველოს მთავრობის მიმართ გაფრთხილებითა და მოწოდებით, არ შემოუშვა ქვეყანაში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს კომუნისტი დეპუტატი, რომელსაც მანამდე არაერთგზის ჰქონდა ნათქვამი, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობა „უკვე შემდგარი ფაქტია, საქართველო ამას უნდა შეეგუოს და რუსეთთან ურთიერთობები ამ ფაქტის გათვალისწინებით ააგოს“. საბოლოო ჯამში, ყველაფერი იმით დასრულდა, რომ გავრილოვი თავხედურად მოთავსდა საქართველოს სახელმწიფოს ერთ–ერთი პირველი პირის სავარძელში. ამ ფაქტმა მოსახლეობის სამართლიანი პროტესტი გამოიწვია, რომელიც, სამწუხაროდ, ძალადობრივი დარბევით დასრულდა და ამ დროს ახალგაზრდები დასახიჩრდნენ. მოვლენებს, სამწუხაროდ, უკან ვეღარ დააბრუნებ, თუმცა საპროტესტო გამოსვლების ფონზე არავინ აქცევს ყურადღებას იმ საფრთხეებს, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ გეგმავს“ — ამბობს დამოუკიდებელი ექსპერტი **გოჩა გვარამია**.

ზემოთ ხსენებული სანქციების გარდა, იგი მოსკოვის მხრიდან შემდეგ ბოლოდროინდელ ნაბიჯებსა და გზავნილებზე ამახვილებს ყურადღებას:

- **რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართული მხარისგან საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა მოითხოვა;**
- **რუსეთის პროკურატურამ გავრილოვის მიმართ საქართველოს მოქალაქეების სრულიად სამართლიან ნეგატიურ დამოკიდებულებას „ექსტრემისტული მოქმედება“ უწოდა და ბრძანებითი ტონით მოსთხოვა ქართულ მხარეს, მომხდარი გამოიძიოს, თანაც ამ პროცესში მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა;**
- **საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საერთოდაც აბსურდული განცხადება გააკეთა, თითქოს საქართველოში ბოლოდროინდელ პროცესებს ამერიკელები მართავენ და ეს ყველაფერი მათი ბრძანებით მოხდა, რათა „რუსეთ-საქართველოს ერთობლივი ისტორია გადაიწეროს“;**
- **ჟურნალისტმა მაძსიმ შევჩენკომ, რომელიც ბოლო პერიოდში ცხვრის ტყავში გადაცმული გვევლინებოდა, განაცხადა, რომ „მოსკოვს თამაშის ერთადერთი ვარიანტი დარჩა — ომი და შეჭრა“;**
- **რუსული მედია კვლავინდებურად აჭრელებულია ინფორმაციით, რომ საქართველოში „თავს ესხმიან ეთნიკურ რუსებს, განსაკუთრებით — რუსეთის მოქალაქეებს“;**

კრემლის რუპორ **ჟირინოვსკის** განცხადებით კი, რუსეთის მკაცრი ნაბიჯების შემდეგ „საქართველოსგან აღარაფერი დარჩება“.

„ეს ყველაფერი რუსეთის ძირითადი გზავნილებია. იქმნება ერთგვარი დეჟავიუ 2006 წლისა, რომელსაც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიის 20%—ის ოკუპაცია მოჰყვა. თუმცა საქართველოს წინააღმდეგ რაიმე ძალისმიერი სცენარის გამოყენებისთვის კრემლს 2008 წლისგან განსხვავებით, სხვა, უფრო წონადი მიზეზი ესაჭიროება“ — თვლის გვარამია.

მისივე აზრით, მიზნის მისაღწევად კრემლმა შეიძლება, რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლეც კი არაფრად ჩააგდოს და უკვე შერჩეულიც ჰყავდეს „შესაწირი კრავი“ „ურჩი“ მოქალაქეების სახით, რომლებმაც პუტინის ბრძანების მიუხედავად, საქართველოში დასვენება არ შეწყვიტეს.

ასევე გასათვალისწინებელია, გვარამიას თქმით, ისიც, რომ ბოლო წლებში საქართველოში მასობრივად გადმოდიოდნენ საცხოვრებლად რუსეთის მოქალაქეები, რომელთა შორის, დიდი ალბათობით, რუსეთის სპეცსამსახურებისა და დივერსიული ჯგუფების წარმომადგენლებიც შეიძლება, იყვნენ.

„საჭიროების შემთხვევაში ისინი მზად იქნებიან, შეასრულონ მოსკოვის ნებისმიერი ბრძანება აქ მყოფ რუსეთის მოქალაქეებზე თავდასხმის ჩათვლით, კრემლი კი ამ ფაქტებს აუცილებლად გამოიყენებს საქართველოს წინააღმდეგ მორიგი სამხედრო აგრესიისთვის და გამორიცხული არ არის, თბილისში ავადსახსენებელი ე.წ. „მწვანე კაცუნები“ ვიხილოთ“,— ამბობს ანალიტიკოსი.

საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი **გიორგი გობრონიძე** ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რისკებს რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებში ხედავს.

ცნობისთვის: „მიგრაციის პროფილის“ მონაცემებით, იმ უცხოელთა 53%, რომლებმაც 2012-2016 წლებში საქართველოში ქონება დაირეგისტრირეს, რუსეთის მოქალაქე იყო; 5-5% — უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის; 4% - ისრაელის; 3-3% — აშშ-ისა და საბერძნეთის, ხოლო 2-2% — გერმანიის, ირანის, ერაყისა და თურქეთის. ორი თვის წინათ „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ (აფბა) გამოაქვეყნა კვლევა საქართველოს ბაზარზე რუსული ინტერესების შესახებ და უნდა ითქვას, რომ ეს ინტერესები საკმაოდ სოლიდურად არის წარმოდგენილი.

როგორც გობრონიძე ამბობს, როგორც **ყოფილი, ისე ამჟამინდელი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური ელიტები „ვერ იაზრებდნენ, რომ სადღეისოდ საქართველოს რუსეთთან საომარი მდგომარეობა აქვს“:**

„2008 წელს დადებული „ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმება არ არის სამშვიდობო ხელშეკრულება, ის არ შესრულებულა რუსეთის მხრიდან. ამ მოცემულობაში საქართველოს მაქსიმუმი უნდა გაეკეთებინა, რათა დროებით დამყარებული მშვიდობისგან ყველაზე მეტი ეფექტი მიეღო. ეს გულისხმობდა ქვეყნის რუსეთზე დამოკიდებულების 0%-მდე შემცირებას, თუმცა სადღეისოდ საპირისპირო მოცემულობა გვაქვს: ჩვენ ვიღებთ პოლიტიკას, რომელიც თითქოსდა რუსეთთან ურთიერთობის დათბობისკენაა მიმართული. თავის დროზე ამას რაღაც ახსნა ჰქონდა, თუმცა მას არც მაშინ ვეთანხმებოდი. მაგალითად, ჩვენ რუსეთის ფედერაციასთან ცალმხრივად გვაქვს უვიზო რეჟიმი... **საქართველოსა და რუსეთს შორის განგრძობადმა მშვიდობამ ტურისტული ნაკადების ზრდა მოიტანა და ქვეყანა რუსეთის ფედერაციაზე მნიშვნელოვნად დამოკიდებულად გადაიქცა, რადგან ტურიზმი ჩვენი ეკონომიკის მნიშვნელვანი დარგია. ამას ისიც მოჰყვა, რომ ჩვენი ბაზრები, ჩვენი სივრცე, ჩვენი ეკონომიკა ძალიან გაიხსნა რუსეთისთვის.** ამას მოწმობს საქართველოში მოქმედი რუსული ბიზნეს-ოპერატორების, ან რუსეთის მოქალაქეების ხელში არსებული ბიზნესების რაოდენობა. ნუ გვექნება ილუზია, რომ თითოეული მათგანი ნატურალიზებული ქართველია რუსეთში, ან ისინი არიან ქართველები, რომლებსაც ორივე ქვეყანაში ბიზნესი აქვთ. ძალიან ბევრი ჩამოდის რუსეთიდან, **ძალიან ბევრი საოჯახო ტიპის სასტუმრო თუ კაფეა რუსეთის მოქალაქეების ხელში, აღარაფერს ვამბობ მსხვილ ბიზნესებზე: სისტემატურად ხდებოდა და ახლაც ხდება სტრატეგიული ობიექტების გადაცემა. შესაბამისად, დღეს ჩვენ ძალიან დიდი რისკის ქვეშ ვართ — ძალიან მაღალია რუსული სპეცსამსახურების ოპერატიული შეღწევადობის რისკი.** დავიჯერო, ჩვენ ვიცით, ვინ ჩამოდის და რა ბიზნესს აკეთებს საქართველოში, ყველაფერი შესწავლილი აქვს უშიშროების სამსახურს?!“.

მისივე თქმით, **„იმ პირობებში, როდესაც წარმოჩენილია განგრძობადი, მცოცავი ოკუპაცია, ოკუპირებულ რეგიონებში შეუქცევადი სამხედრო აღმშენებლობის პროცესი მიმდინარეობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთისგან სამხედრო რისკის ქვეშ ვართ და თბილისში ყველა შენობა ცხინვალიდან რუსული არტილერიის დაფარვის ზონაშია, ხელისუფლებამ მოახერხა და თითქმის პირველ ეკონომიკურ პარტნიორად აქცია რუსეთი“.**

„თუ გამონაკლის ინსტიტუტებს არ ჩავთვლით, როგორიცაა, მაგალითად, თავდაცვის სამინისტრო, ქვეყანას, პრაქტიკულად, არ აქვს ის, რაც უნდა გვქონოდა: **2008 წლიდან მოყოლებული, უნდა შეგვემუშავებინა რუსეთის შეკავებისა და წინააღმდეგობის პოლიტიკა. თავის დროზე, როდესაც რუსეთს სანქციებს უწესებდნენ, ჩვენ ამ მიმართულებით არ გვიაქტიურია, არ შევუერთდით და ამას ჩვენი ეკონომიკური ინტერესით ვხსნიდით. საბოლოოდ მივიღეთ ის, რაც რუსეთისგან უნდა მიგვეღო — დარტყმა ჩვენს ეკონომიკაზე და ეს კიდევ დასაწყისია“,** — თვლის ანალიტიკოსი.

საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტი **დავით ბატაშვილი** კი საფრთხეებს რუსულ „რბილ ძალაში“ ხედავს: **„ბევრად უფრო დიდი პრობლემაა ის მასობრივი დეზინფორმაცია, რომელიც თითქმის ყოველსაათობრივად ვრცელდება რუსეთის სასარგებლოდ ქსენოფობიური, ანტიდასავლური და სხვა გზავნილებით. ამას ქართულ ენაზე უმეტესად საქართველოს მოქალაქეები აკეთებენ. სამხედრო სფეროს და დიპლომატიას თავი რომ დავანებოთ, „რბილი ძალის“ კუთხით პროპაგანდის ზემოქმედება საქართველოს მოსახლეობაზე უპირველესი საფრთხეა. უპირველესად, სწორედ ამაზეა საჭირო კონცენტრირება“.**

კატასტროფა რუსულ წყალქვეშა ნავზე

წყალქვეშა ნავის 14 დაღუპული მეზღვაურიდან 7 პირველი რანგის კაპიტანი, 2 კი რუსეთის გმირის წოდების მქონე იყო. ამის შესახებ განცხადება რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გააკეთა. პუტინმა წყალქვეშა ნავის ეკიპაჟს მაღალპროფესიონალური უწოდა და განაცხადა, რომ ეს დიდი დანაკარგია რუსეთის ფლოტისა და არმიისთვის.

პარალელურად რუსულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ყველა დაღუპული მეზღვაური სანკტ-პეტერბურგის საიდუმლო სამხედრო ნაწილში ირიცხებოდა და ეს დანაყოფი ღრმაწყლოვანი საიდუმლო წყალქვეშა სადგურის ექსპლუატაციას უზრუნველყოფდა, რომელშიც მცირე ზომის ატომური რეაქტორიცაა განთავსებული. მეზღვაურები რუსეთის თავდაცვის უწყების ღრმაწყლოვანი კვლევების განყოფილებას ექვემდებარებოდნენ, აღნიშნული განყოფილების შესახებ ინფორმაცია კი „სრულიად საიდუმლო“ გრიფი ახლავს. წყალქვეშა ნავი AC-12-ია, რომელიც „ლოშარიკის“ სახელითაა ცნობილი. ნორვეგიის ატომური უსაფრთხოების საგენტოს დირექტორმა Reuters-სთან საუბარში განაცხადა, რომ რუსმა ჩინოვნიკებმა მათ შეატყობინეს, რომ ბარენცის ზღვაში, წყალქვეშა ნავის ბორტზე გაზი აფეთქდა, მისი თქმით, ნორვეგიას რადიაციის ანომალიური დონე არ დაუფიქსირებია. ნორვეგიისთვის რაიმე მსგავსი შეტყობინების გაგზავნას უარყოფს რუსული მხარე და გამოძიება ჯერ ისევ ელექტროენერგიის მიზეზით გაჩენილი ხანძრის ოფიციალურ ვერსიას ახმოვანებს.

დასავლეთმა ახლა უნდა დაინახოს ნატოს წევრი საქართველო...

დაარსებიდან 70 წლის შემდეგაც, ნატო ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის უსაფრთხოების საფუძვლად რჩება. ალიანსის გამოწვევები გამუდმებით იცვლება, ევროპული უსაფრთხოების გარემო ტრადიციული და არატრადიციული საფრთხეების წინაშეა, მათ შორის, რუსეთის აგრესია მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, ჩინეთის მზარდი რაოდენობის ინვესტიციები ევროპაში და ა.შ. შექმნიდან 70 წლის შემდეგ ალიანსის წინაშე კვლავ არის შეკითხვები და ორაზროვნება იმის თაობაზე, ვინ, როდის და რა პირობებში შეიძლება გახდეს მისი წევრი. ბენინდაიკი ამბობს, რომ 2008 წლის ომს წინ სწორედ ის დაპირება უძღოდა, რომლის თანახმადაც, საქართველო და უკრაინა ალიანსის წევრები გახდებოდნენ. ამიტომ ის სიფრთხილის საჭიროებაზე საუბრობს და ამბობს, რომ სანამ ნატოში ამ ორი ქვეყნის წევრობაზე კონსენსუსი მიღწეული არ არის, „მათ დასახმარებლად სხვა გზები უნდა ვიპოვოთ“.

„ატლანტიკური საბჭოს ბრენტ სკოუკროფტის საერთაშორისო უსაფრთხოების ცენტრის“ მკვლევარი იან ბჟეზინსკი კი სწორედ ამ აქამდე მიუღწეველი კონსენსუსის თაობაზე ამბობს, რომ „დასავლეთი საკუთარი ყოყმანის ფასს იხდის“ და რუსეთის მეზობლები მისი აგრესიული ამბიციების სამიზნე ხდებიან.

„ვფიქრობ, იმ მიზეზის ნაწილი, რატომაც ახლა უკრაინასა და საქართველოში რუსული ჯარი დგას, დასავლეთის ორაზროვნებაა მათ ტრანსატლანტიკურ მისწრაფებებზე პასუხის თაობაზე. იყო ვაკუუმი, რომელმაც გააცოცხლა რუსეთის პოლიტიკაში ყველაზე უარესი დინამიკა და დიახ, ნატოს გაფართოება ამ ქვეყნებში, რთული სამართავი იქნება დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობის კუთხით, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ ვიხდით ჩვენი ყოყმანის ფასს“, — ამბობს ბჟეზინსკი.

გენერალი ჯონ ნიკოლსონი, ავღანეთში ამერიკის შეიარაღებული ძალებისა და ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისიის“ ყოფილი მეთაური ამბობს, რომ გარდა პოლიტიკური გამოწვევებისა, ე.წ. „გაყინული კონფლიქტების“ მქონე ქვეყნის მიღება სამხედრო თვალსაზრისითაც რთული განსახილველია, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს მიერ შეტანილი წვლილი გლობალური მშვიდობის მისიებში, აუცილებლად სათანადოდ უნდა შეფასდეს.

„ქართველებს ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის უდიდესი კონტრიბუცია აქვთ ჩვენს მისიაში ავღანეთში. ისინი ამერიკის მტკიცე მხარდამჭერნი არიან როგორც ავღანეთის, ისე ერაყის მისიებში და ეს უნდა იყოს აღიარებული ფასეულობა“, — ამბობს გენერალი.

„ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დეიმონ უილსონი ამბობს, რომ ნატოს გაფართოების მხარდამჭერებს საკუთარი მისია აქვთ და მათ უნდა დაარწმუნონ დასავლელი ლიდერები, რომ საქართველოსა და უკრაინის წევრობა ალიანსში შესაძლებელია, მიუხედავად კონფლიქტებისა.

„ღია კარის პოლიტიკა მნიშვნელოვანია და ვფიქრობ, ეს ეხება ბალკანეთის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ევროპის ნეიტრალურ ქვეყნებს, მაგრამ ასევე ვფიქრობ, რომ ეს ეხება საქართველოსა და უკრაინას. სწორედ ამას ვაკეთებთ. ვცდილობთ, დავეხმაროთ ხალხს იმის წარმოდგენაში, რომ საქართველო ნატოს მომავალი წევრია. ასევე დავეხმაროთ მათ იმის გააზრებაში, რომ საქართველომ დაიმსახურა წევრობა ნატოში შეტანილი წვლილით და ნაკისრი პასუხისმგებლობით. არსებობს შესაბამისი გზა და მოქნილობა იმისთვის, რომ „ნატოს ქარტიის“ მეხუთე მუხლი არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“, — ამბობს მკვლევარი.

ის ასევე განმარტავს, რომ „ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ხალხი, რომ მათ გაიგონ, „ამ ქვეყნების“ ალიანსში ყოფნა მოსკოვთან ურთიერთობაში პროგნოზირების მეტ საშუალებას შეიტანს, რადგან ეს გაურკვევლობა რისკს შეიცავს“.

დეიმონ უილსონის თქმით, მაშინ, როდესაც დასავლეთი, თავისუფალი სამყარო ავტორიტარიზმს ებრძვის, საქართველო ბრძოლის წინა ფრონტზეა და ის არ რჩება დასავლეთის პრიორიტეტებს მიღმა.

„ხალხს თბილისში, ისევე როგორც ვარშავაში, ტალინსა თუ ბერლინში, სრული უფლება აქვს, უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება იმ ალიანსის წევრობით, რომელსაც თავად ირჩევს. და ეს არ მოხდება, თუკი ქართველებიც თავად არ განაგრძობენ ამ კუთხით ძალისხმევას, თუკი ამ საკითხს ჩვენთვისაც არაკომფორტულს არ გახდიან. ესაა ხანგრძლივი ძალისხმევა იმისა, რომ გზა გავკვალოთ და შევქმნათ „საქართველოს ნატოში გაწევრიანების“ პოლიტიკური წარმოსახვა. ჩვენ გვყავს მოკავშირეები, როგორც კონგრესში, ისე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და საზოგადოებაში“.

გასულ კვირას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის დელეგაციას ხმის მიცემის უფლება აღუდგინა. მოსკოვს ხმის უფლება 2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ შეუჩერეს. ვაშინგტონში ანალიტიკოსების ნაწილმა ამ გადაწყვეტილებას შეცდომა, სტრატეგიული მარცხი უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირი რუსეთის მიმართ მისი აგრესიული ქმედებების გამო დაწესებულ სანქციებსა და შეზღუდვებს არ შეამსუბუქებს. მით უფრო კი იმ ვითარებაში, როდესაც რუსეთი ამ ქვეყნების სუვერენიტეტის შემლახავ ქმედებებს არ წყვეტს და პირიქით, დემოკრატიული სახელმწიფოების შიდა პოლიტიკურ პროცესებში, არჩევნებში ჩარევას აგრძელებს და ჰიბრიდულ ომს აწარმოებს დასავლეთის ქვეყნების მიმართ.

დეიმონ უილსონი ამბობს, რომ მიუხედავად მოწინააღმდეგესთან დიალოგის სურვილისა და ხშირად აუცილებლობისაც, ეს გადაწყვეტილება შემაშფოთებელია — ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა შესაძლო გადაწყვეტილება, რომელიც გამოხატავს რაიმეს, გარდა უკმაყოფილებისა რუსეთის პროვოკაციული ქმედებების მიმართ“.

ეკა მაღალდაძე

AMNESTY INTERNATIONAL

ანგარიში აააშკარავებს რუსეთის მიერ განხორციელებული ბორდერიზაციის გამანადგურებელ შედეგებს

Amnesty International-ის წარმომადგენლის სამხრეთ კავკასიაში ლევან ასათიანის შეფასებით, ორგანიზაციის ანგარიში რეალურად ააშკარავებს რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ბორდერიზაციის, ფაქტობრივად, გამანადგურებელ შედეგებს ადამიანის უფლებებსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე.

მისი თქმით, ანგარიში ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან ახლოს, ორივე მხარეს, როგორც საქართველოს მიერ კონტროლირებად მხარეს, ასევე რუსეთის ჯარების მიერ კონტროლირებად მხარეს.

„ანგარიში 60-გვერდიანია და ის ეფუძნება ერთწლიან კვლევას, წარმოდგენილია ისტორიები და დოკუმენტირებულია ამბები, რომლებიც მოგვითხრობენ გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაზე, უკანონო დაკავებებზე, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საარსებო წყაროების დაკარგვაზე, ასევე საუბარია ოჯახური ცხოვრების უფლების შეზღუდვაზე და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე, ასობით ათას ადამიანს არ აქვს წვდომა საგვარეულო სასაფლაოებზე“, — განაცხადა ლევან ასათიანმა.

მისივე ინფორმაციით, ანგარიშის პრეზენტაცია გუშინ ერთდროულად გაიმართა თბილისსა და მოსკოვში, რათა დაინტერესებულ პირებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ორგანიზაციის მიგნებების გაზიარებისა.

„რეკომენდაციები არის შემუშავებული უმეტესწილად რუსეთის ფედრაციის მიმართ, ისევე როგორც საოკუპაციო რეჟიმის მიმართ, რომელსაც საერთაშორისო სამართალში აქვს გარკვეული მოვალეობები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიის მიმართ. უპირველესი რეკომენდაცია ეს არის გადაადგილების თავისუფლების რეჟიმის შემსუბუქება, რომ იმ სამოქალაქო პირებმა, ვინც ცხოვრობენ ამ ტერიტორიაზე, მოახერხონ ცხოვრების ჩეულებრივ რეჟიმში გაგრძელება და არ ეშინოდეთ უკანონო დაკავებების. ყველა ადამიანის უფლება, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა უნდა დაიცვან — ეს რეკომენდაცია რუსეთის მიმართ არის გაცემული. მოვუწოდებთ საერთაშორისო თანამეგობრობას, არ მიიღოს ის მწვავე ჰუმანიტარული სიტუაცია, როგორც შემდგარი ფაქტი ამ რეგიონებისა და ეცადოს, რომ ეს სამწუხარო რეალობა გამოსწორდეს და მოუწოდონ ყველა შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციას, დააფასონ და შეასრულონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“, — განაცხადა ლევან ასათიანმა.

მისივე თქმით, რეკომენდაციები ქართული მხარის მიმართაც არსებობს, რათა ქართულმა მხარემ გამოყოს მეტი დახმარება იმ ადამიანების მიმართ, რომელთა სოციალური, ეკონომიკური და სხვა უფლებები გაუარესდა ბორდერიზაციის შედეგად.

◎ ცეცხლთან თამაში

რუსებმა ქართველ მორაგბეებს პროტესტი არ აპატიეს

რუსულმა სარაგბო კლუბმა „სლავამ“ ქართველ ლეგიონერებს რევაზ ბროძელსა და საბა ილურიძეს კონტრაქტები გაუწყვიტა, რასაც საფუძვლად პოლიტიკური მოტივი დაედო.

ყველაფერი 27 ივნისს რუსეთის თასის მეოთხედფინალის ეგიდით გამართულ მატჩს მოჰყვა, რომელშიც მოსკოვური კლუბი კრასნოდარის „ყუბანს“ დაუხვდა და 10:19 დამარცხდა.

საინტერესოა, რომ აღნიშნულ შეხვედრაში მასპინძელთა ათივე ქულა (ლელო, გარდასახვა, ჯარიმა) ბროძელმა მიითვალა, ლელოს დადება კი მან და საბა ილურიძემ თვალზე ხელის აფარებით აღნიშნეს.

მოგეხსენებათ, ეს უკვე ცნობილი ჟესტია, რომელიც ანტისაოკუპაციო პროტესტსა და შემდგომში მიტინგის დაშლას უკავშირდება. მსგავსი რამ არაერთმა ქართველმა ფეხბურთელმა და საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრების ლიდერმა თედო აბჟანდაძემაც გააკეთეს, რუსებმა კი ამით თავისი აღშფოთება კიდევ ერთხელ გამოხატეს და მკაცრ ზომებს მიმართეს.

„ჩათვალეს, რომ პოლიტიკურად დატვირთული საქციელი იყო და რუსეთზე მქონდა გართულება. არადა, ამ ჟესტით ჩემს ხალხს გამოვუცხადე მხარდაჭერა და არა – პოლიტიკოსებს“, – განაცხადა ბროძელმა რაგბი TV-სთან საუბარში.

მომხდარი კიდევ ერთხელ ამყარებს იმ აზრს, რომ ქართველი სპორტსმენები რუსულ ჩემპიონატებში თამაშს მაქსიმალურად უნდა ერიდებოდნენ. ჩვენს ფეხბურთელებს რუსულ კლუბებში პრობლემა არაერთხელ შექმნიათ, ახლა კი ტენდენცია ქართველ მორაგბეებზეც ვრცელდება, რომლებიც ბოლო პერიოდში რუსეთში მრავლად გადადიან.

იგივე „სლავაში“, ბროძელისა და საბა ილურიძის გარდა მიხეილ ორაგველიძე, ტარიელ დონაძე და სანდრო ილურიძეც თამაშობენ. დარჩებიან თუ არა ეს მორაგბეები მოსკოვურ კლუბში, ჯერჯერობით უცნობია.

კობა კობახიძე

რედაქციისგან: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, სწორედ რომ ამ შემთხვევაზეა ნათქვამი. თქვე დალოცვილებო, როცა იცოდით, რომ შინაურ პროვოკატორთა მიერ არეულ მონასტერს ასეთი გაგრძელება მოჰყვებოდა, არ აჯობებდა, პროტესტის ნიშნად თავად დაგეტოვებინათ ოკუპანტი ქვეყნის კლუბი, თანაც „სლავა“?

◎ ლეგიონერი

ესლა აკლდა

მართალია, დღემდე ვხარობთ გოგა ბითაძის კარიერული წინსვლით, მაგრამ ისე როგორ იქნებოდა, უნიჭიერეს ქართველ ლეგიონერს გაუთვალისწინებელი წინაღობა რომ არ შეხვედროდა.

საუბარია სავიზო პრობლემაზე, რის გამოც იგი დღემდე ვერ ჩავიდა ამერიკაში და „ინდიანას“ დანარჩენ დებიუტანტებთან ერთად საზაფხულო კემპისთვის მზადება უგვიანდება.

შედეგად, „ჯვაროსანთა“ 19 წლის ერთ-ერთი ლიდერი ლას-ვეგასში მყოფ პარტნიორებს საზაფხულო ლიგისთვის სავარჯიშოდ ვერ უერთდება და, შესაბამისად, „მემფისთან“ 7 ივლისისთვის დაგეგმილ პირველ შეხვედრას გამოტოვებს.

რაც შეეხება მომდევნო მატჩებს, „პეისერზი“ 9 ივლისს „დეტროიტს“ ეთამაშება, 10 ივლისს – „ატლანტას“ და 12 ივლისს – „ტორონტოს“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ხსოვნა გულისა

მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი 2019“

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად „თბილისი ჰილზის“ გოლფის მოედნებზე მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი 2019“ გაიმართა.

ტურნირი სპორტულ ჟურნალისტთა მონაწილეობით საქართველოს გოლფის ფედერაციის მიერ დადგენილი წესებისა და რეგლამენტის გათვალისწინებით ჩატარდა. გამარჯვებულები და პრიზიორები ინდივიდუალური მაჩვენებლების შესაბამისად კაცებსა და ქალებს შორის გამოვლინდნენ.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი ლაშა რამაზაშვილმა მოიპოვა, „ვერცხლი“ ზვიად შათირიშვილმა დაისაკუთრა, ხოლო მესამე ადგილი და, შესაბამისად, ბრინჯაოს მედალი – გიორგი ათაბეგაშვილმა. გოგონებში საუკეთესო იყო თამარ მამაგულაშვილი, ვერცხლის მედალი მერსი სულხანიშვილმა დაიმსახურა, „ბრინჯაო“ კი – ანი ნადირაშვილმა.

ტურნირში მონაწილეობდნენ ქართველი სპორტსმენებიც, თუმცა, მათი შედეგები ცალკე დაითვალა და საბოლოოდ გოგონებში საუკეთესო შედეგი ბატუტზე მხტომელმა ლუბა გოლოვინამ დააფიქსირა, რომელიც მინსკის მეორე ევროპული თამაშების ვერცხლის პრიზიორია. ვაჟებში ყველას წყალბურთელთა ნაკრების წევრმა გიორგი ხვედელიანმა აჯობა. მათ გარდა, ჟურნალისტებთან ერთად სპორტული მედიის საერთაშორისო დღე აღნიშნეს წყალბურთელთა ნაკრების კაპიტანმა ზურაბ რურუამ, ხელბურთელთა ნაკრების კაპიტანმა შოთა თევზაძემ, საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ვეტერანმა ვიქტორ სანიკიძემ და ნაკრების მოთამაშემ მერაბ ბოქოლიშვილმა.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასთან და გოლფის ფედერაციასთან ერთად მედიატურნირის ორგანიზატორი იყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო ფესტივალის მხრდამჭერები – „თბილისი ჰილზი“, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, კომპანია „ზედაზენი“, ტურნირის პარტნიორები – ოლიმპიური აუზი, სპორტული ტანსაცმლის მაღაზია „NICK and DAVE“.

მედია-ფესტივალის გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასებით და ტურნირის ორგანიზატორების და მხარდამჭერი პარტნიორების მიერ დაწესებული სამახსოვრო პრიზებით.

სპორტულ ჟურნალისტთა მედია-ტურნირი „ბაჩოს თასი“ სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით 2010 წლიდან ტარდება და სპორტულ გაზეთ „სარბიელის“ ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის ხსოვნას ეძღვნება.

ბეჟან დოლიძე

◎ კოპა ამერიკა

მოსახდენი მოხდა

აძამდე ბრაზილიამ ოთხჯერ უმასპინძლა კოპა ამერიკას და ოთხჯერვე გაიმარჯვა.

ტიტეს გაწვრთნილი გუნდი მეხუთე ტრიუმფთანაც ახლოსაა – ნახევარფინალში თავისი ყველაზე პრინციპული მეტოქე არგენტინა 2:0 დააჩოქა (ჟესუსი, ფირმინო) და მასთან ურთიერთშეხვედრებში საერთო ბალანსი კიდევ უფრო გაიუმჯობესა – 46 მოგება, 27 ფრე და 39 წაგება.

აღსანიშნავია, რომ სატრაბახო ტრადიციის დეფიციტს არც ვერცხლის ქვეყნის ქვეშევრდომნი უჩივიან – აღნიშნული ტურნირისა და მუნდიალების ისტორიაში ისინი მეცამეტედ თამაშობდნენ ნახევარფინალში და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ, თანაც საკუთარ მინდორზე ურუგვაისთან უკვე შორეულ 1987 წელს.

სხვათა შორის, ლა-პლატელებმა ბრაზილიურ ფორუმზე საუკეთესო შთაბეჭდილება სწორედ მთავარი ფავორიტის წინააღმდეგ ღირსეულად წაგებულ ბრძოლაში დატოვეს, მაგრამ მესის ძალისხმევა ამაო აღმოჩნდა – მისი ფილიგრანული გარღვევებისა და გადაცემების შემდეგ აგერომ ერთხელ ბურთი ძელს მოარტყა, ერთხელ მცველმა დაუფარა და ერთხელაც ბურთს ვერ მისწვდა, ხოლო ერთ ეპიზოდში იღბალმა თვით „ბარსელონას“ ლიდერს აქცია ზურგი – აქაც საქმეში ძელი ჩაერია.

საერთოდ, მესის უბედურება ისაა, რომ, მარადონასაგან განსხვავებით, რომელსაც მხარს ვალდანო, კანიჯა და ბატისტუტა უმშვენებდნენ, სათანადო კალიბრის ბომბარდირს ვერა და ვერ ეღირსა.

თუმცა, ეს მხოლოდ აისბერგია – თვით გუნდის შიგნით რომ ბარდაგია გამეფებული, ამაში ყველანი ვთანხმდებით.

გიორგი ზოთაძე

სულთათანა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 79 წლისა გარდაიცვალა ბრძენთა თამაშის ვეტერანი, მოჭადრაკეთა თაობების აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

სულიკო მეგრელიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150. ტელ. +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება

№62/ს
03/07/2019

62-21-4-201907031608

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების, საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 ივლისის N1505 განკარგულების, „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N132 დადგენილების, „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 20 მარტის N1/6 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისთვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი N1 - ის შესაბამისად:
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი N1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის - www.eauction.ge-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10% - ის ოდენობით;
5. დაევალოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ინფორმაციის გამოქვეყნება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში აუქციონის გამართვამდე არა უგვიანეს ერთი თვისა;
6. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - მომსახურების სააგენტოს;
7. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6) კანონით დადგენილ ერთი თვის ვადაში.

ანდრო ასლანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დანართი №1

დამტკიცებულია
სსიპ – გარემოს ეროვნული
სააგენტოს უფროსის
2019 წლის „----------“
№ბრძანებით

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით ტყით სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57
3	ელ–ფოსტა	info@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სამონადირეო მეურენობის სპეციალური ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა.ა) სამონადირეო მეურნეობაში, ყოველ 1500 – 2000 ჰექტარზე, დაიქირავოს არანაკლებ 1 (ერთი) რეინჯერ-ეგერი, სამი ცვლის გათვალისწინებით; ა.ბ) რეინჯერ-ეგერის მიერ ფუნქციების განხორციელების დროს, მისი დასვენების მიზნით, რელიეფის გათვალისწინებით, უზრუნველყოს არანაკლებ 3 (სამი) ერთეული, მინიმუმ 15-20 კვ/მ ფართობის, რეინჯერ-ეგერის არაკაპიტალური სახლის მოწყობა; ა.გ) პირველადი დახმარების მიზნით, უზრუნველყოს არანაკლებ 1 (ერთი) არაკაპიტალური სამედიცინო პუნქტის მოწყობა; ა.დ) სალიცენზიო ფართობის დაცვისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მიზნით განათავსოს ფოტო-ხაფანგები, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კვლევის საფუძველზე და აისახება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმაში; ა.ე) სამონადირეო მეურნეობის ზონირება განახორციელოს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას დამსვენებლების, ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ტყეში თავისუფლად გადაადგილებას და უსაფრთხოებას. ამ მიზნით მოაწყოს საინფორმაციო დაფები და გამაფრთხილებელი მანიშნებლები (ყველა ძირითად შესასვლელში და ტერიტორიაზე, ტურისტულ მარშრუტებზე, რომელთა რაოდენობა და განთავსების ადგილები დაზუსტდება სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმით); ა.ვ) დაგეგმოს და მოაწყოს საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკები (მოწყობა და მარკირება უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად); ა.ზ) ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის მიზნით, შეიძინოს სახანძრო ინვენტარი (შენობისა და ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად/სალიკვიდაციოდ); ა.თ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტთან ერთად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოადგინოს „სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ შესაბამისად სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტში ასახული, განსახორციელებელი ქმედებების დამასაბუთებელი სათანადო კვლევები და დასკვნები; ა.ი) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით სარგებლობისას ხელი არ შეუშალოს სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში არსებული/გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების მფლობელებს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში, მათ შორის, სამთო და შესაბამისი მიწის მინაკუთვნის გამოყენებაში, ასევე ამ ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებსა და გამოვლინებებზე შესაბამისი ლიცენზიების გაცემას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასა და ფუნქციონირებას. ამასთან, აღნიშნულ ლიცენზიებთან დაკავშირებით გაითვალისწინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები; სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის საბადოებზე და გამოვლინებებზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, შესაბამისი სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობი შესაძლებელია შემცირდეს შესაბამისი გამოვლინების/საბადოს ფართობის ოდენობის ფარგლებში; ა.კ) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის შემუშავება/დამტკიცების დროს გაითვალისწინოს სამონადირეო

		მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის ფართობზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებისა და საბადოების ადგილმდებარეობა და არ მოაწყოს შესაბამის X და Y კოორდინატებზე სამონადირეო მეურნეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა; ა.ლ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოადგინოს ლიცენზირებული ტერიტორიის ფიზიკური დაცვის დეტალური გეგმა-გრაფიკი, შესაბამისი რუკის თანხლებით. რუკაზე დატანილი უნდა იყოს ლიცენზირებულ ტერიტორიაზე რეინჯერ-ეგერის სახლების და კოშკურების განთავსების ადგილები (შესაბამისი კოორდინატებით); ა.მ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მიღებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე საბინადრო პირობების გაუმჯობესების და აღწარმოების ხელშეწყობის მიზნით, შეაფასოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიის სამეურნეო პროდუქტიულობის არსებული და პოტენციური შესაძლებლობები და წარმოადგინოს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე სახეობრივი სიმდიდრის გაზრდის მიზნით შესაბამისი/ადექვატური ინვესტიციების განხორციელების გეგმა-გრაფიკი; ა.ნ) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე განავითაროს სამოყვარულო და სპორტული ნადირობა და შემეცნებითი, რეკრეაციული და სათავგადასავლო ტურიზმი; ა.ო) ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობისთვის ბუნების დამზოგავი და რაციონალური გამოყენების ტრადიციის ჩამოყალიბებას და ამ მიზნით საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას; ა.პ) განავითაროს ეკოტურიზმი და ამ მიზნით ტერიტორიაზე განათავსოს შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურა; ა.ჟ) სალიცენზიო ფართობის გარე პერიმეტრზე განათავსოს სასაზღვრო ფირნიშები, რომლებზეც, რიგ შემთხვევებში, დატანილი იქნება სამონადირეო მეურნეობის სქემატური რუკა, ასევე შიდა სამეურნეო ტერიტორიული ერთეულის ფირნიშებზე დატანილ უნდა იქნას შესაბამისი ერთეულის კონტურები; ა.რ) ხელი არ შეუშალოს ტყის ფონდის მართვის ორგანოს სატყეო-
		სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელებაში (ტყის ფონდის მართვის ორგანო ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს ლიცენზიის მფლობელს; ა.ს) სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის პროექტთან ერთად, გარდა ამ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა, სამინისტროში, შესაბამის დასკვნებთან, რეკომენდაციებთან და გასატარებელ ქმედებებთან ერთად, წარმოადგინოს სათანადო კვლევაზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია, ცხოველთა სანადირო სახეობებისა და მათი ჰაბიტატების/სანადირო სავარგულების შესახებ, თითოეული სახეობისთვის, რაც სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ ასახული უნდა იქნას მართვის გეგმაში. ა.ტ) კვლევისას, საჭიროების შემთხვევაში და სათანადო დასაბუთებით, (შესაბამისი ლიტერატურის, მეთოდიკის ან/და წესების მითითებით და აღწერით), გამოყოს ძირითადი სანადირო სახეობები, ე.წ. წამყვანი სანადირო სახეობები. კვლევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე, ცხოველთა სახეობების, მათ შორის ე.წ წამყვანი სანადირო სახეობის პოპულაციების სტრუქტურა, სანადირო სავარგულების სეზონური და წლიური გამტარუნარიანობა და ჰაბიტატების/სანადირო სავარგულების აღდგენა/შენარჩუნებისათვის შესაბამისი ღონისძიებები. ა.უ) უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი კვლევა, საჭიროების შემთხვევაში და სათანადო დასაბუთებით, ითვალისწინებდეს სალიცენზიო ფართობზე მობინადრე გარეულ ცხოველთა სანადირო სახეობებისათვის მათი ჰაბიტატების/სანადირო სავარგულების ბონიტეტების დადგენასა და აღდგენითი ღონისძიებების დაგეგმვას (მაგალითად სავარგულის მიყვანა მინიმუმ 40%-ისა პირველ ბონიტეტამდე). ა.ფ) უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი კვლევა, სავარგულების ბონიტეტებისა და სახეობების პოპულაციების სტრუქტურის მიხედვით ითვალისწინებდეს მოპოვების კვოტების დადგენის შესახებ შესაბამის წინადადებებს, ხოლო კვლევის შედეგად შემოთავაზებული დასკვნები და რეკომენდაციები - ეკოსისტემების, ჰაბიტატებისა და პოპულაციების მდგრადობას; ა.ქ) უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი კვლევის შედეგად შემოთავაზებული განსახორციელებელი ქმედებები და

		ღონისძიებები გამორიცხავდეს მათში უარყოფით ცვლილებებს და ხელს უწყობდეს ბიომრავალფეროვნების თითოეული კომპონენტის აღდგენასა და შენარჩუნებას; რესურსებით მდგრად სარგებლობას; შესაბამისი სანადირო ინფრასტრუქტურის მოწყობას. ა.ღ) სამონადირეო მეურნეობაში შექმნას ვეტერინარული პუნქტი. განახორციელოს სამონადირეო მეურნეობის სავარგულებში მოპოვებული სანადირო რესურსის ვეტერინარული შემოწმება; ა.ყ) განახორციელოს სამონადირეო მეურნეობაში მოპოვებული რესურსის მკაცრი აღრიცხვა - ცხოველის სახეობის, სქესის, ასაკის და წონის მიხედვით, ასევე, მოპოვების თარიღის, ადგილის და დღის მონაკვეთის მითითებით; ა.შ) უზრუნველყოს, რომ სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მოქმედების პერიოდში სამონადირეო მეურნეობაში დასაქმებულთა უმრავლესობა, მათი თანხმობის შემთხვევაში, იყოს ადგილობრივი მოსახლეობა; ა.ჩ) სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, წარადგინოს სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმა; ა.ც) სამონადირეო მეურნეობის მოწყობისთვის/ფუნქციონირებისთვის, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) წლის ვადაში, განახორციელოს არანაკლებ 1 000 000 (მილიონი) ლარის ინვესტიცია (მათ შორის: მოსასვენებელი კოტეჯებისა და ღამის გასათევის მოწყობა რეინჯერებისთვის; სპორტინგის მოედნის მოწყობა 6 (ექვსი) თეფშსასროლი აპარატით; სამედიცინო პუნქტის მოწყობა; სამონადირეო მეურნეობის აღჭურვა მინიმუმ 10 (ათი) ერთეული კვადროციკლითა და 4 (ოთხი) ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილით; მონადირეთა ძაღლებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა; ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის თანამედროვე მონიტორინგის სისტემით (ფოტო-ხაფანგები და ელექტრო-მწყემსები) და ყველა საჭირო საშუალებით აღჭურვა). ინვესტიციის განხორციელება უნდა დადასტურდეს დამოუკიდებელი, სერთიფიცირებული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული დასკვნით, რომელიც ლიცენზიის მფლობელმა უნდა წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში
		და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში, ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 42-ე თვისა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინვესტიცია სრულად განხორციელდება 3 (სამი) წლის გასვლამდე, აღნიშნული დასკვნა წარმოდგენილ უნდა იქნას ინვესტიციის განხორციელებიდან მე-6 თვეს.

6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ფონდში, ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტებში მდებარე სატყეო უბნის ტერიტორიაზე, 6794,2 ჰა ფართობზე (ვანი-ბაღდათის სატყეო უბნის ბაღდათის საირმის სატყეოს NN4, 5, 6, 9, 10, 16, 17, 22-დან 42-ის ჩათვლით, 44-დან 53-ის ჩათვლით, 55, 59, 60 კვარტლები და ვანის საირმის სატყეოს NN22, 24, 26, 30, 31, 36, 37, 39, 42, 47,49, 50, 51, 52, 58, 59 კვარტლები)
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტი
8	აუქციონის საწყისი ფასი	67 942 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	6 794,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 794,2 ბე ლარი + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 4 ივლისიდან დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 1 აგვისტოს დღის 18:00 საათზე.
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 2 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 2 აგვისტოს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	49
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა
		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

სულთათანა

შალვა ზარანდია



მწუხარებას გამოვთქვამთ ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის წევრის დიდი პროფესიონალის შალვა ზარანდიას გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებს და კოლეგებს.

ბატონი შალვა ზარანდია დაიბადა 1923წ. სენაკის რაიონში. მეორე მსოფლიო ომის დროს 1942 წ. ჩრდილოეთ კავკასიიდან დაწყებული ბრძოლა 1945 წ. დაასრულა გერმანიის ქ. ვაიმარში. ომის შემდეგ იგი რჩება გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში. 1947 წ. ბრუნდება სამშობლოში.

1952 წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი ინჟინერ ელექტრომექანიკოსის კვალიფიკაციით და გაიგზავნა ქ. რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლო 17 წელი იყო კომბინატის მთავარი ენერგეტიკოსი. 1983 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ენერგეტიკული განყოფილების უფროსად, 1988-1992 წ.წ. საქართველოს უზენაესი საბჭოს დარგობრივი კომისიის ექსპერტად და მინისტრთა საბჭოს აპარატის წამყვან სახელმწიფო მრჩევლად, ხოლო 1992-2003 წ.წ. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ენერგეტიკული სამმართველოს უფროსად. 2003-2008 წ.წ. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მთავარი სპეციალისტია. 2008 წლიდან მუშაობას განაგრძობს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“, სადაც აქტიურად არის ჩართული დარგის რეგულირების საკითხებში.

მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება (1972 წ.). მიღებული აქვს საქართველოს უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი. სხვადასხვა პერიოდში დაჯილდოებულია სამხედრო და სამოქალაქო ორდენებით და მედლებით. კითხულობდა ლექციებს, თავმჯდომარეობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის საკვალიფიკაციო კომისიას. გამოქვეყნებული აქვს ენერგეტიკის სფეროში 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა;
ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი;
ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი.

ბაღჩეულ და ბოსტნეულ კულტურებში ნიტრატების შემცველობა ნორმას არ აღემატება

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები ბაღჩეულ და ბოსტნეულ კულტურებში ნიტრატების ნორმის განსაზღვრის მიზნით ნიმუშებს იღებენ.

საბითუმო, მსხვილი და მცირე სარეალიზაციო ობიექტებიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე აღებული და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლეულია 80-მდე ნიმუში, მათ შორის, სეზონურობის ფაქტორის გათვალისწინებით – საზამთროსა და ნესვის ნიმუშები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ბაღჩეულ და ბოსტნეულ კულტურებში ნიტრატების შემცველობა ნორმას არ აღემატება.

ნიტრატების განსაზღვრის მიზნით წლის ბოლომდე 200-მდე ნიმუშის აღებაა დაგეგმილი.

საპენსიო სააგენტო მომხმარებლებს აფრთხილებს

ინტერნეტსივრცეში საპენსიო სააგენტოს მსგავსი ყალბი ვებგვერდი შეიქმნა, რომელიც დიზაინით სააგენტოს ოფიციალურ საიტს ჰგავს.

ვებგვერდზე მომხმარებელმა საბანკო ბარათის მონაცემები უნდა შეიყვანოს. მითითებულ ინფორმაციაში კი წერია, რომ ვერიფიკაციისთვის ბარათზე მოხდება 0.01 თეთრის დაბლოკვა 24 საათით, რომელიც შემდეგ მომხმარებელს უკან დაუბრუნდება.

საპენსიო სააგენტო მომხმარებლებს სიფრთხილისკენ მოუწოდებს. უწყებაში აცხადებენ, რომ ოფიციალური ვებგვერდის მისამართია – pensions.ge, სადაც საბანკო მონაცემების შეყვანა არ არის გათვალისწინებული. საპენსიო დანაზოგის შემოწმება კი, დამსაქმებლის მიერ მოწოდებული პაროლის მეშვეობითა არის შესაძლებელი.

სავარაუდო თაღლითურ სქემაზე უკვე ინფორმირებულია შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქმის შესწავლა მიმდინარეობს.



ლევან გორგაძეს ტოკიოში ძეგლი დაუდგეს

ქართველ სუმოისტ ლევან გორგაძეს, იგივე ტოჩინოშინს ტოკიოს ერთ-ერთ ქუჩაზე ძეგლი დაუდგეს. ქართველ ფალავანს ხელში რაგბის ბურთი უჭირავს. მოგეხსენებათ, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატს წელს ტოკიო მასპინძლობს.

უკანაფშაველებს ინტერნეტი ჩაურთეს

„ეს იყო დიდი ხნის ოცნება და დღეს ახდა. სადღაც ოთხი-ხუთი წელია, ვითხოვდით, რომ უკანაფშავსა და სხვა მაღალმთიან რეგიონებში ყოფილიყო ინტერნეტი და გაჩენილიყო ინტერნეტზე დაფუძნებული სატელეფონო კავშირი“, — ამბობს ნოდარ ტოხოსაშვილი, რომელსაც ვაკისოფელში მეურნეობა აქვს და ზაფხულს იქ ატარებს. ამის შესახებ ინფორმაციას „მთის ამბები“ ავრცელებს.

ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში Wi-Fi ინტერნეტით ფშავში — 17, უკანაფშავში — 10, პირაქეთა ხევსურეთში — 18, პირიქითა ხევსურეთში — 8, არხოტში — 3 და გუდამაყრის ხეობაში 13 სოფელი დაიფარება.

პროექტს ააიპ „მთის სათემო ქსელი“ ახორციელებს და ის 25 ათასი დოლარით ამერიკულმა ორგანიზაცია „ინტერნეტსაზოგადოებამ“ დაუფინანსა, 246 805 ლარით კი საქართველოს მთავრობამ. ამ თანხით, ჟინვალიდან სხვადასხვა ხეობების მიმართულებით, ინტერნეტის რადიოქსელი მოეწყობა. 15 ათასი ევრო გამოყო საქართველოში ჩეხეთის საელჩომ, რომლის გრანტითაც ფშავ-ხევსურეთსა და გუდამაყრის სოფლებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის ინტერნეტის ინსტალაცია უფასო იქნება.

ილუზიონისტმა მაყურებლის თვალწინ მეწყვილეს თავში ესროლა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ქალაქ გრეიჰამსტაუნში, ილუზიონისტმა წარმოდგენის დროს შემთხვევით თავის მეწყვილეს თავში ესროლა.

ინციდენტი 30 ივნისს მოხდა. ბრენდონ პილი და მისი ასისტენტი ლი ლაუ მაგიურ ტრიუკს ასრულებდნენ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე. სროლის შემდეგ შეშინებული მაყურებლის დაუყოვნებლივი ევაკუაცია მოხდა. ლაუ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, ილუზიონისტების ფესტივალის ხელმძღვანელის თქმით, ტყვიას ილუზიონისტის თავის ქალაში არ შეუღწევია, ის გონზე უკვე მოვიდა და გამოჯანმრთელების გზაზეა.

მზის სრული დაბნელება

2 ივლისს წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილსა და სამხრეთ ამერიკაში მზის დაბნელება მოხდა.

ჩილესა და არგენტინის გარკვეულ ნაწილში მოსახლეობა მზის სრული დაბნელების მომსწრე გახდა, ანუ მთვარემ მზის სინათლე სრულად დაბლოკა, ჩანდა მხოლოდ ჩვენი ვარსკვლავის გვირგვინი (კორონა). არგენტინისა და ჩილეს დანარჩენ ტერიტორიაზე კი ადამიანებმა ნაწილობრივი დაბნელება იხილეს.

სანამ დაბნელება სამხრეთ ამერიკას მიაღწევდა, წყნარი ოკეანის რამდენიმე კუნძული მოიცვა. სრული დაბნელება პირველად კუნძულ ოენოზე გამოჩნდა, სადაც ეს პროცესი 2 წუთსა და 53 წამს გაგრძელდა. სრული დაბნელება ოდნავ ასცდა აღდგომის კუნძულს, სადაც მოსახლეობამ მზის დისკო 80 პროცენტით ჩაბნელებული იხილა.

დაბნელება ყველაზე დიდხანს, 4 წუთსა და 32,8 წამს გაგრძელდა გალაპაგოსის კუნძულებიდან 2600 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ, სამწუხაროდ, ღია ოკეანეში.

მზის ნაწილობრივი დაბნელება თითქმის მთელი სამხრეთ ამერიკიდან ჩანდა, მაგრამ სრული დაბნელება მხოლოდ ჩილესა და არგენტინის გარკვეულ ტერიტორიებზე, 150 კმ სიგანის ზოლში მოხდა.

სრული დაბნელების დროს ცა იმდენად ჩაბნელდა, რომ გამოჩნდა ის პლანეტები და ვარსკვლავები, რომლებიც სამხრეთ ნახევარსფეროდან წლის ამ დროს ღამით არ ჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ მზის დაბნელება წელიწადში რამდენჯერმე ხდება, სრული დაბნელება იშვიათია. შემდეგი ასეთი მოვლენა 2020 წლის 14 დეკემბერს, კვლავ ჩილესა და არგენტინის ტერიტორიებზე მოხდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24
გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

მზის პანელების ყველაზე დიდი სადგური

არაბთა გაერთიანებული საამიროების წყლისა და ელექტროენერგიის კომპანიამ — Noor Abu Dhabi — მსოფლიოში ყველაზე დიდი მზის ენერგიის სადგური შეიყვანა ექსპლუატაციაში.

1,177 მეგავატის გამომუშავების შესაძლებლობის მქონე სადგური ინდივიდუალურ სადგურებს შორის ზომით პირველია. მეორე ადგილს კი აშშ-ს 569 მეგავატიანი Solar Star იკავებს.

The Noor Abu Dhabi-ს პროექტი არასახელმწიფო დაფინანსებით კონსორციუმის მიერ შეიქმნა.

$870-მილიონიანი (3.2 მილიარდი AED) პროექტის ფარგლებში ელექტროენერგიას ემირატების წყლისა და ელექტროენერგიის კომპანია (EWEC) იყიდის დაახლოებით, $2.4 ცენტად 1 კვტ.სთ-ს.

სადგური ინდურმა Sterling & Wilson ააშენა, რომელიც 3000-მდე ადამიანს ასაქმებს.

Noor Abu Dhabi-ს 3.2 მილიონი პანელი, რომელიც 8 კილომეტრზეა გაშლილი, 90 000 ადამიანის სამყოფ ენერგიას გამოიმუშავებს.

სადგური CO_2-ის დაბინძურებას წელიწადში 1 მილიონი მეტრული ტონით შეამცირებს, რაც ქუჩებიდან 200 000 მანქანის გაქრობის ტოლფასია.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8237; ევრო - 3.1902;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5632;
100 რუბლი - 4.4627; თურქული ლირა - 0.4985;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6659;
1000 სომხური დრამი - 5.9259.

ამინდი 4 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+30
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+13,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+20,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge